

ნევესიოს ენესელი

# გუნეგისა-თჳს კაცისა

ბერძნულითგან ტადმოღებული

იოვანე პეტრიწის შიჳრ.

ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაკუმად დაამზადა  
და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო

ს. რ. შოტაძემ.

გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 17

ტფილისი  
1914



წიგნიანი მემკვიდრეობა

# გუნდის-თვს კაცისა

ბერძნულიდან გადმოღებული

იოვანე პეტრიწის მიერ.

8976

ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა  
და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო

ს. რ. გორგაძემ.

გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 17

ტფილისი  
1914



ელექტრომბეჭდავი ს. შ. ლოსაბერი- | ელექტრონეჩ. С. М. Лосабериძე,  
ძისა, მოსკოვის ქუჩა, საკ. სახ. № 5. | Московская ул., собств. д. № 5.



«ჩვენ გვრწამს და ვხედავთ, რომ ჩვენი ერი განვითარების გზას ადგია. ის, კაი ხანია, შედგა ამ გზაზე და მისი გაჩერება ყოვლად შეუძლებელი საქმეა. იგი ვითარდება საზოგადოებრივად და ქონებრივად, ზნეობრივად და გონებრივად. მისნი ძველნი ჩვეულებანი თანდათან იფხვრებიან, მისი ძველი სოფლმხედველობა ირყევა და ირღვევა; მათ ალაგას სხვა, ახალი, სოფლმხედველობა მოადის, მათს ადგილს სხვა ჩვეულებანი იკერენ.—ახალ დროს ახალი სოფლმხედველობა უნდა, ხოლო ახალ აზრებსა და სოფლმხედველობას ახალი სიტყვები და განახლებული ენა სჭირია».

ასე ვწერდით ამ ცამეტობდე წლის წინათ ჩვენს პირველ ნაბეჭდ წერილში ფილოსოფიის ისტორიიდან<sup>1</sup>.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, «დიდება» უფრო შინაარსით, ვინემ წელთა რაოდენობით. გამოცდილებამ და დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულ სამეცნიერო ენის განახლება უნდა სწარმოებდეს და შესაძლოა ნორმალურად მოხდეს მხოლოდ ძველქართულ სამეცნიერო და ფილოსოფიურ ტერმინოლოგიის კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე. ეს მარტოვი ქეშმარიტება დღეს უკვე ყველასთვის აშკარაა, და სწორეთ ამ გარემოებამ გაგვაბედვინა, ჩვენი დიდი ხნის განზრახვის განხორციელებას შეესდგომოდით. ჩვენი მთავარი აზრია: ინტელიგენტ ქართველობას (და, განსაკუთრებით, ქართულ სამე-

<sup>1</sup> «ფილოსოფია და მისი პროგრესი»—წინასიტყვაობა, გვ. 1 (ქურონალი «მოამბე» 1901 წ. №№ 11 და 12).

ცნიერო ენის შემუშავებაში ჩაბმულ ინტელიგენციას) მივა-  
წოდოთ ისეთი თხზულებანი ძველ ქართულ მწერლობიდან,  
რომელნიც მდიდარი არიან სამეცნიერო და ფილოსოფიურ  
ტერმინებით. ამ უამად ჩვენი არჩევანი, იოვანე პეტრიწის მიერ  
ნათარგმნს, ნემესიოსის წიგნზე შევაჩერეთ: დაე, მთარგმნელის  
ავტორიტეტმა, თვით წიგნის შინაარსმა და ბოლოში დარ-  
თულმა ლექსიკონმა გაამართლოს მკითხველის თვალში ჩვენი  
არჩევანი.

უგულითადესს მადლობას ვსწირავთ «საეკლესიო მუზეუ-  
მის» კომიტეტს, რომელმაც შეგვაძლებინა, დიდი ხნის გან-  
ზრახვა სისრულეში მოგვეყვანა, ოცნება სინამდვილედ გვექ-  
ცია. მადლობას მოვახსენებთ საერთოთ იმ პირთაც, რომელ-  
თაც ამ საქმეში დახმარება გაგვიწიეს.

ამ წიგნის შემდგომ, დასაბეჭდად დამზადებული გვაქვს  
იოვანე პეტრიწის მასწავლებლის ეფრემ მცირის მიერ მე-XI-ე  
საუკუნეში ნათარგმნი «სოფლისა-თვს და კაცისა» (იოვანე და-  
მასკელის თხზულებიდან: «გარდმოცემაჲ») და მე-X-ე საუკუ-  
ნის ხელნაწერში («შატბერდულ კრებულში») დაცული თარ-  
გმანი გრიგოლ ნოსელის თხზულებისა «კაცისა შესაქმისა-  
თვს», — რომელთაც დაერთვის ჩვენი გამოკვლევა: «კოსმოლო-  
გია და ანთროპოლოგია ძველ ქართულ მწერლობაში».

ს. გორგაძე

1914 წელი,

12 მარტი,

რთილისი.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## რ ე ლ ა ჭ ო რ ი ს ა ზ ა ნ

### I. ნემესიოს ეპისკოპოსი და მისი თხზულება (გვ. III—VII):

1 ნემესიოსის ვინაობა. 2 რას წარმოადგენს შინაარსით მისი თხზულება. 3 ამ თხზულების ღირსებანი და საზოგადო მნიშვნელობა.

### II. იოვანე პეტრიწი და მისი თარგმანი (გვ. VII—XXII):

4 ქართველი მთარგმნელის მოკლე ბიოგრაფია. 5 ეფრემ მცირე და იოვანე პეტრიწი; როდის არის ნათარგმნი ჯბუნებისა-თვს კაცისა. 6 თარგმანის დედანი: როგორ ეპყრობა დედნის ტექსტს ქართველი მთარგმნელი. 7 ქართული თარგმანის მნიშვნელობა ძველად. 8 მისი მნიშვნელობა დღეს.

### III. ხელნაწერები და ჩვენი გამოცემა (გვ. XXII—LVI):

9 სამი ხელნაწერი, მათი ურთიერთობა და ქართული ტექსტის მოკლე ისტორია. 10 ძირითადი ხელნაწერის (A) დღევანდელი მდგომარეობა. 11 საზოგადო გეგმა, რომელსაც ჩვენ მივსდევთ ამ ხელნაწერებით სარგებლობის დროს. 12 თავები და მათი სათაურები ხელნაწერებსა და ჩვენს გამოცემაში. 13 ნაკვეთებად დაყოფა ტექსტისა ხელნაწერებში და ჩვენს გამოცემაში. 14 სასვენებელი ნიშნები. 15. ტენიკური მხარე სიტყვების წერისა ხელნაწერებში და ბექდვისა ჩვენს გამოცემაში. 16 ქარაგმების გახსნა. 17 ხელნაწერის უბრალო წერითი შეცდომანი და თავისებურობანი, ჩვენს გამოცემაში შესწორებულნი ან უარყოფილნი. 18 ხელნაწერ ტექსტის ორთოგრაფიული თავისებურობანი. 19 ფონეტიკური თავისებურობანი. 20. ხელნაწერი ტექსტი მორფოლოგიურის მხრივ. 21 სინტაქსიური უსწორ-მასწორობანი. 22 წესი ხელნაწერების განსხვავებათა ჩვენებისა ჩვენი გამოცემის საკრიტიკო აპარატში. 23 დამატებანი. 24 გამოცემაში ნახმარი ნიშნები, სამოწმებლნი და შემოკლებანი. 25 შეცდომათა შესწორების შესახებ.

«ბუნებობისა-თჳს კაცობისა»

თაგვი	გვერდი
I. ბუნებისა-თჳს კაცობისა	3
II. სულისა-თჳს	23
III. შეერთებისა-თჳს სულისა და სხეულთაჲს	51
IV. სხეულთა-თჳს	58
V. ასოთა-თჳს	61
VI. ოცნებითისა-თჳს	72
VII. მხედვარეობისა-თჳს	75
VIII. გემთა-ხილვისა-თჳს	82
IX. შეხებისა-თჳს	83
X. სასმენელთა-თჳს	87
XI. სახსრელთა-თჳს	88
XII. მიმოგონებითისა-თჳს	88
XIII. მოძესქნებლობისა-თჳს	89
XIV. შორისმდებარისა და გარემოსილისა სიტუცისა-თჳს	92
XV. სხუაჲ განწყვალებაჲ სულისაჲ	94
XVI. სულისა უტუცისა-თჳს	95
XVII. გულის-მთქუმელობითისა-თჳს	98
XVIII. გემთა-თჳს	100
XIX. მწუნარებისა-თჳს	106
XX. გულის-წერობისა-თჳს	107
XXI. შიშისა-თჳს	108
XXII. უტუცისა-თჳს, რომელი აზმორჩილ არს სიტუცისა	110
XXIII. მოზარდობითისა ძალისა-თჳს	110
XXIV. ძარღუთა-თჳს	113
XXV. მშობელობითისა გინათუ თესლფონობითისა-თჳს	114
XXVI. სხუაჲ განწყვალებაჲ ძალთაჲ, რომელნი ჳმართებენ ცხადელსა	117
XXVII. წინააღრჩეობითისა შიდრეკისა-თჳს	117
XXVIII. სულის-კუჭითისა-თჳს	120

XXIX. ნებისითისა და უნებღიეთისა-თჳს	125
XXX. უნებღიითისა-თჳს	127
XXXI. უმეტრებით უნებღიითისა-თჳს	130
XXXII. ნებისითისა-თჳს.	132
XXXIII. წინაგანჩვევისა-თჳს	134
XXXIV. თუ რათა-თჳს ვართ განმზრახ	137
XXXV. სჳსა-თჳს	141
XXXVI. ვარსკუფაგუთა-მიერისა სჳსა-თჳს	143
XXXVII. სხუასხედ სჳსა-თჳს	145
XXXVIII. თუ ვითარ ზღატონ იტჳვს სჳსა-თჳს	147
XXXIX. თჳთჳკელმწიფებისა-თჳს	151
XL. თუ რამელხნი არიან ჩუენ-მიერნი	154
XLI. თუ რამელთა მიზეზთა-თჳს თჳთჳკელმწიფე ვიქმნენით	158
XLII განგებისა-თჳს	162
XLIII. თუ რად-მე არს განგებად	168
XLIV. თუ რად-მე არს განგებად	169

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი

I. ლექსიკონი	177
II. საკუთრებითი სახელები (ადგილთა, ზირთა და თხზუფებათა)	222
III. დაბადების ტექსტთა საძიებელი	229
IV. ხელნაწერის თავთა საძიებელი ჩვენსა და რუსულ გამოცემაში	230
V. ხელნაწერის უმთავრეს სხლილოთა საძიებელი ჩვენს გამოც.	232
VI. ხელნაწერ $A^1$ -ის ნაკლული ადგილები ( $A$ -სთან, $A^2$ -სთან და ჩვენს გამოცემასთან შედარებით)	234
VII. უსჭირკესნი შევსებანი და შესწორებანი	237

# ბექდვითი შეცდომანი

გვ. & სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
V <sub>,29</sub>	1856	1858
VI <sub>,32</sub>	51	59
XVI <sub>,20</sub>	ღრასტიკაოჲ	ღრასტიკოჲ
XXVII <sub>,12</sub>	АУСНУ	АУСНУ
XXVIII <sub>,9</sub>	ზედმეტია	ზედმეტია <sup>1</sup>
XXX <sub>,2</sub>	რვეულისათვის	რვეულისათვის
XXXII <sub>,8</sub>	სათაურები	სათაური
25 <sub>,31-32</sub>	ხლებრივი	ხონებრივი
27 <sub>,17</sub>	ცხრები	ცხრები-
30 <sub>,12</sub>	სხეულთა	სხეულთა
32 <sub>,1</sub>	შემდგმულბაჲ	შედგმულბაჲ
43 <sub>,14</sub>	ს ხჳსა	სხჳსა
52 <sub>,1</sub>	დაადრების	დაადგების
58 <sub>,25</sub>	ტრანკრიპციით	ტრანსკრიპციით
102 <sub>,4-5</sub>	თანშეოზვისსა-გან	თანშეთხზვისსა-გან
115 <sub>,28</sub>	ჩვეულებრივ	ჩვეულებრივს
127 <sub>,29</sub>	დედის	დედნის
168 <sub>,1</sub>	272	273

რელიქტივიზაცია

### ნემესიოს ემესელი და მისი თხზულება

1. ვინ იყო ნემესიოსი? სად ცხოვრობდა იგი? ან როდის დასწერა თავისი თხზულება? ეს კითხვები უნებლიეთ წარმოუდგება ყველას, ვინც ამ წიგნის სათაურს პირველათ გადაიკითხავს. სამწუხაროდ, ჩვენი წინასიტყვაობის გეგმა ნებას არ გვაძლევს, ამ საკითხებს ვრცლათ შევუხებთ. ამიტომ მოკლეთ შევნიშნავთ, რომ, შეკვლევართა უმეტესობის აზრით, ნემესიოს იყო ქალაქ ემესის (ზემიონიკაში, მდ. ორანტის პირად, ობიექტის საზღვარზე) მღვდელმთავარი და ცხოვრობდა მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში. სწამს ქრისტიანობას მიიღებდა, — მსჯევანმეტყუელებას ასწავლიდა, შემდგომ ვექილობას ეწეოდა და, ბოლოს, ჩვენი ქვეყნის მეზობლად, კამბოდჯიაში, პრეფექტად იქმნა დანიშნული. აქ იგი დაუახლოვდა ამ კუთხის ბრწყინვალე ვარსკვლავს გრიგოლ ღვთისმეტყველს (ცხოვრ. 326—390 წლებს შორის) და ქრისტიანობაც მისივე გავლენიან მიიღო. შემდეგ ეკურთხა ეპისკოპოსად და 400 წლის მახლობლათ დასწერა თხზულება «Περὶ φύσεως ἀψύχων», რომელმაც უკვდავყო მისი სახელი საეკლესიო მწერლობის ისტორიაში<sup>1</sup>.

2. რას წარმოადგენს ეს თხზულება შინაარსით? რა ფასი ჰქონია მას ძველად, ან რა მნიშვნელობა აქვს დღეს? — ამ მეორე რიგის კითხვები, რომელთაც, აგრეთვე, ვპირდას ვერ აუვლის ვერცერთი

<sup>1</sup> უფრო ვრცლათ იხ. Θ. Владимирскій: „Немезій, епископъ Емесскій—О природѣ чловѣка“. Переводъ съ греческаго. Пущаевъ. 1904 г. შთარგმნელის წინასიტყვაობა, გვ. III—VIII; შუად. იქვე Предисловіе Оксфордскаго издателя (1671 г.), გვ. 6—14.—იხ. აგრეთვე К. Григорьевъ: „Немезій епископъ Эмесскій и его сочиненіе—О природѣ чловѣка“. Казань. 1901 г., стр. 1—2.



მკითხველი, რომელიც ამ თხზულების გაცნობას მოისურვებს. სამ-  
წუხაროდ, დასახელებული მიზეზის გამო, ვერც ამ კითხვათა ვრცლათ  
განხილვას გამოვუდგებით. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ შინაარსით ეს  
თხზულება წარმოადგენს პლატონისა, არისტოტელისა და სხვა ძვე-  
ლი დროის ფილოსოფოსების<sup>1</sup> მოძღვრებათა კრიტიკულ განხილვაზე  
და საღმრთო წერილზე დამყარებულს ტრაქტატს ადამიანის ბუნების  
შესახებ.

თხზულებას წინ მიუძღვის საკმაოდ ვრცელი **შესავალი**, რომელშიაც ღამარაკია საზოგადო მსოფლიოზე და ადამიანის ბუნება-  
ზე (თავი I).

შესავლის შემდეგ იწყება თხზულების **პირველი მთავარი ნაწილი**, რომელშიაც განხილულია საზოგადო კითხვები ადამიანის შესახებ: მისი სულის ბუნებაზე, სულისავე ჩამომავლობასა და გვარებაზე, სულის სხეულთან შეერთებაზე, სხეულის შედგენილობაზე და მსოფლიო სტიქიონებზე ანუ «ასოებზე», როგორც მათ ქართველი მთარგმნელი უწოდებს (თავები II—V).

ამას მოსდევს **მეორე (და უკანასკნელი) მთავარი ნაწილი**, რომელშიაც ავტორი განხილავს ადამიანის სულიერ და ფიზიოლოგიურ ძალთა და ფუნქციებს და თავის ნაშრომს თავებს ფატალიზმის უარყოფითა და ვრცელი მოძღვრებით საღმრთო განცების შესახებ (თავები VI—XLIV).

პ. ასეთია ამ თხზულების საზოგადო გეგმა და მოკლე შინაარსი<sup>2</sup>. რაც შეეხება მის მნიშვნელობას წარსულსა და აწმყაში, ამ საგნის ნათელსაყოფელად საკმაო იქნება მოვიყვანოთ. ორი მკვლევარის აზრი: უაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორის კ. გრიგო-

<sup>1</sup> იხ. ამ წიგნის ბოლოში დართული საკუთარ სახელთა საძიებელი.

<sup>2</sup> უფრო ვრცელსა და სისტემატიურს ანალიზს აღნიშნული თხზულების შინაარსისას მკითხველი ჰპოვებს კ. გრიგორიევის ჩვენ. მიერ დასახელებულ თხზულებაში: „Немезій еп. Мессскій и его сочинение О природѣ челоѣка“, стр. 7—59. ვურჩევთ მკითხველებს, სანამ ჩვენი გამოცემის კითხვას შეუდგებოდნენ, ბ-ნი გრიგორიევის აღნიშნული თხზულების ეს 52-ილივე გვერდი გადაიკითხონ: ეს ძლიერ გაუადვილებს ქართული ტექსტის შეგნებას.

რივეისა და ვიტემბერგელი ჰროფესორის Matthaei-სი, რომელსაც ეკუთვნის პირველი სრული და სუკეთესი გამოცემა ნემესიოსის თხზულების ბერძნული ტექსტისა<sup>1</sup>.

პირველის ახრი მოკლეთ ასე შეიძლება გადმოიცეს:

ვინც ნემესიოსის წინა და თანადროულს საქრისტიანო ანთროპოლოგიას თავს გადააგლებს, ცხადთ დანახავს, რომ ნემესიოსამდე ქრისტიანე ანთროპოლოგები<sup>2</sup> ძლიერ მცირე უურადლებას აქცევდნენ ადამიანის ბუნების აწმყო მდგომარეობას: მათ უფრო კაცის პირვანდელი (ედემში) და სიაქიო მდგომარეობა აინტერესებდათ. ნემესიოსმა კი განსაკუთრებული უურადლება კაცის ბუნების აწმყო მდგომარეობას მიაქცია, შეიძლება ითქვას, თავისი კვლევის საგნად ადამიანის ბუნების მხოლოდ აწმყო მდგომარეობა დაისახა. ამისი მიზნებულობა მისი თხზულების შინაარსი. აქ იგი მტკიცეთ სდგას დაბადებისა და სუკლეისიო მოძღვრებობის ნიადაგზე<sup>3</sup>, მაგრამ სცდილობს ამ მოძღვრებას საბჭენი ძველ ბერძნულ ფილოსოფიასიაც მოუპოოს. კრიტიკული მეთოდით აღჭურვილი, იგი ემყარება ძველი დროის ორს ბუმბერაზ-მოაზრეს — ჰლატონსა და არისტოტელს: პირველს მისდევს თავისი ანთროპოლოგიის სპეკულატიურს ნაწილში, მეორეს — ემპირიულში; ჰლატონს ემყარება სწავლაში სულის შესახებ, ხოლო არისტოტელს — სულიერ მოვლენათა შესახებ. მაგრამ ამ ორი ბუმბერაზ-მოაზრის გვერდით ნემესიოსის თხზულებაში ბევრი სხვა ფილოსოფიის სახელიც გვხვდება. «ვრცელმა და საფუძვლიანმა კრუდიცამ ნემესიოსს მისცა იქძლება, თავის ნაშრომში დიდძალი ფილოსოფიური და ანთროპოლოგიური იდეები მოეთავსებინა, რომელნიც წინანდელი მოაზრებების მიერ იფუნენ შემუშავებულნი. მართალია,

<sup>1</sup> ეს არის ჰალეში, 1802 წელს, გამოცემული ტექსტი, პროფ. ქრისტიან ფრიდრიხ მატთეის რედაქტორობით. შემდეგ აქედან თიქმის უცვლელად გადაუბეჭდია Migne-ს თავის Patrologiae cursus completus-ში (t. 40 ser. graec., 1856 an.). ჰალეს გამოცემით უსარგებლობა ბ-ნს ვლადიმირსკის, რომელსაც ეკუთვნის პირველი რუსული თარგმანი ამ თხზულებისა (Поч.:евъ. 1904 г.).

<sup>2</sup> ორიგენი (185 წ. 255 წ.) და გრიგოლ ნოსელი (331 წ. 394 წ.).

<sup>3</sup> გარდა საკითხისა სულთა გაჩენის შესახებ.

ნემესიოსს ამ იდეებისთვის თავისი საკუთარი, ორიგინალური აზრები მიუმატებია, მაგრამ მის ნაშრომში ძვირფასი სწორეთ ის არის, რომ საწარმართო დროის მრავალი იდეა აქ ქრისტიანულის თვალსაზრისით გაშუქებულ-მოსაზრებულა და საქრისტიანო სოფელმხედველობის წრეში შემოტანილი». ანტიქრისტიანული აზრები აქ კრიტიკულად განიხილეს და უარყოფილია, ხოლო ის იდეები, რომელნიც ქრისტიანობას არ ეწინააღმდეგებიან, სისწორით შეფასებული და დირსეულად მიღებულია. ასეთია ნემესიოსის თხზულების ისტორიული მნიშვნელობა, რამდენათაც კითხვა მის წინამორბედს ქრისტიან-ანთროპოლოგებს შეეხება. — ხოლო ნემესიოსის თანამედროვე ქრისტიანეთათვის და მათ უახლოეს თაობათვის ნემესიოსის თხზულება წარმოადგენდა შვენიერს სახელმძღვანელოს ანთროპოლოგიის შესასწავლად. — რაც შეეხება ამ ტრაქტატის გავლენას შემდეგი დროის ქრისტიან-მეცნიერებზე, უნდა შევნიშნოთ, რომ ივლიანე ზომერიუსს; იოვანე დამასკელს, მელეტიუსა და ერეტრიუსს ამ თხზულებიდან ამოღებული აქვთ არა მხოლოდ სტრიქონები, ცალკე აზრები, არამედ მთელი გვერდებიც კი. — ამ თხზულების ზოგიერთი თავი ჩვენს დროის ქრისტიანეთაგანაც სიამოვნებით წაიკითხვის; ასეთია, მაგალ., პირველი თავი, რომელშიაც ავტორს გამოხატული აქვს თავისი შეხედულება მსოფლიოზე და კაცზე, აგრეთვე თავები სულისა და სხეულის შეერთებაზე, ნებისთას და უნებლიეთაზე, ნებელობის თავისუფლებაზე და განკებაზე. — საზოგადოა კი ნემესიოსის თხზულება დღეს უურადასაღებია როგორც ისტორიული ძეგლი, რომელშიაც მოკლეთ და გასაგებათ გადმოცემულია შედეგები გამოკვლევათა აღამიანის შესახებ ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე<sup>1</sup>.

მეორე მკვლევარი, პროფესორი Matthiae, ასე გამოხატავს თავის აზრს ამ თხზულების შესახებ:

«ბევრი საკვირველი და ჭეშმარიტი მსჯელობა წამიკითხავს ამავ კითხვების შესახებ ბერძნის ფილოსოფოსებისა, და უფრო მეტი ბერძენთა საეკლესიო მწერლებისა, მაგალითად: ბასილი დიდისა, გრი-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ დასახელებული თხზულება ბ-5 გრიგორიევისა გვ. 51—60.

გოლი ჩოსელისა, ოქროპირისა, თეოდორიტისი და თვით ორიგენისაც, რომელთაც იგივე საკითხები ცალ-ცალკე (ხაწილ-ხაწილ) მშვენივრათა და გრცლათ აქვთ განმარტებული. მაგრამ უოველივე ეს შერთებით ბევრათ უფრო მთავრეთ, ზედმიწევნითა და მეტიან გამჭრათხობით გარკვეულია ერთს (ამ) წიგნაკში ნემესიოსის მიერ, რომელსაც მრავალი ძველი შეცდომილება დაურღვევიათ<sup>1</sup>.

სწორეთ ამ დირსებათა გამო ნემესიოსის ტრაქტატო ფრიად გავრცელებული უფთილა აღმოსავლეთის ეკლესიაში; ხოლო მე-XII-ე საუკუნეში იგი დასავლეთის ქრისტიანთათვისაც უთარგმნათ ლათინურ ენაზე<sup>2</sup>. იმავე საუკუნეში ეს საუკრადლებო თხზულება ქართულადაც იქმნა გადმოცელებული ფილასოფოსის იოვანე ჰეტრიწის მიერ.

## II

### იოვანე ჰეტრიწი და მისი თარგმანი

4. ვინ იყო იოვანე ჰეტრიწი? სად და როდის მოღვაწეობდა იგი? ან რას წარმოადგენს მისი ქართული თარგმანი ნემესიოსის თხზულებისა? აი — მესამე რიგის საკითხები, რომელთაც, აგრეთვე, მიუხედავთ მათდამი ღრმა ინტერესისა, აქ მხოლოდ გაკვრით შევეხებით<sup>3</sup>.

მე-XI—XII-ე საუკუნეში მეცნიერულათ მოაზროვნე ქართულ წრეებში ფეხი მოიკიდა და გაძლიერდა ეგრეთ წოდებული ნეოპლატონური მიმართულება. ამ მიმართულების მიმდევარნი შეეცადნენ

<sup>1</sup> იხ. ვლადიმირსკის ზემო დასახელებულს წიგნში „Предисловіе Галльскаго изданія (1802 г.)“, გვ. 18.

<sup>2</sup> უუძველესი ლათინური თარგმანი ეკუთვნის ჯანარდ ბურგუნდიოსს, რომელიც 1194 წელს გარდაიცვალა (ibid. 8 და იქვე სხოლიო 1-ელი).

<sup>3</sup> გარდა ერთის კითხვისა, სახელდობრ, იმის შესახებ, თუ როდის ცხოვრობდა იოვანე ჰეტრიწი, რასაც შედარებით უფრო ვრცლათ განვიხილავთ, რადგან ამ საკითხთან მჭიდროთ დაკავშირებულია იმის ვარკვევა, თუ როდის ითარგმნა წინამდებარე თხზულება.

ქართულ ენაზე გადმოეღო და გავერცელებინათ გამჩენილ ნეკნულ-ტონურ ფილოსოფოსთა, აგრეთვე არისტოტელისა და სხვათა ნაწერები. თარგმანებს, სწიწათ, შესაფერ განმარტებსაც უერთავდნენ და მით ქართველ საზოგადოებაში ფილოსოფიურ თხზულებათა ვაძულებადი რისხვის დიდთ ხელს უწყობდნენ<sup>1</sup>. ამ მუშაკთა წრეს ეკუთვნოდა იოვანე პეტრიწი.

მისი ჩამომავლობის შესახებ უეჭველი ცნობები არ მოიპოვება: ერთი გარდამოცემით იგი იყო გურიიდან<sup>2</sup>, — და ეს გარდამოცემა თითქმის ჰპოებს გამართლებას მისი თარგმანის ლექსიკაში<sup>3</sup>. მეორე გარდამოცემა მის სამშობლოდ «დაბა კირკიმს» ასახელებს, სამცხეში<sup>4</sup>; მაგრამ, შესაძლოა, ეს გარდამოცემა აღმოცენებულიყო იოვანე პეტრიწის მეორე ზედმეტი სახელის «ჭიმჭიმელის» სახსნელად, რომელიც ნიშნავს „ზეციერს“<sup>5</sup> და რომლის ეს მნიშვნელობა ბევრისათვის, როგორც სწინს, უცხო და გაუგებარი გამხდარა.

<sup>1</sup> შეადარეთ ნ. მარრის: *Иоаннъ Петрицкій, грузинскій неоплатоникъ XI—XII вѣка*. Спб. 1909 г., стр. 35—43 და 58—61.

<sup>2</sup> „ძველი საქართველო“ ტ. I, განყ. III: «მცირე უწყება ქართველმწერალთათვის» გვ. 14.

<sup>3</sup> ასეთია, მაგალ., სიტყვა „ერცაზე“, „გუშრდი“ (იხ. ლექსიკონი); უკანასკნელი სიტყვა, ნ ა წ ი ლ ი ს მნიშვნელობით, უფრო მეგრულისაკენ მიაქცევს მკვლევარის ყურადღებას. საყურადღებოა, აგრეთვე, რომ იოვანე პეტრიწის მიერვე ნათარგმნსა და განმარტებულს პროკლე დიადოხოსის «კავშირნი»-ში შემდეგს სამუსიკო ტერმინებს ვპოვებთ: «მზახრ, ყ ი რ და ბამ», რომელნიც უნდა უდრიდენ ქართული გალობის სამ ხმას: პირველს, მეორესა და ბანს (იხ. „კავშირნი“-ს მე-XII-ე საუთუნის ხელნაწერი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“; ბოლოდან მე-8-ე გვერდი, სტრიქონი მე-9-ე ქვემოდან); მეგრულათ: „ყირი“=ორი; მაგრამ, შესაძლოა, სიტყვა „ყირ“ სომხურიც იყოს ძირითადი (შეად. მარრის *Иоаннъ Петрицкій...*, стр. 43, примѣч. 1-ое).

<sup>4</sup> „ძველი საქართველო“ ტ. II, განყ. III, გვ. 40.

<sup>5</sup> იოვანე ჭიმჭიმელად წოდებულია, მაგალ., ანტონ I-ის კათალიკონის „წყობილისიტყუობაში“, ზემოდასახელებულ „მცირე უწყება“-ში („ძვ. საქ.“ ტ. I, განყ. III, გვ. 14) და სხვ.; საბა ორბელიანის განმარტებით (ლექსიკონი): „ჭიმჭიმელი ესე არს არიას ცა, მეხუთე“. შეად. ნიკ. მარრის *Иоаннъ Петрицкій...*, стр. 4 და ძირს სხოლიო 2. ერთს



იმავე გარდამოცემით, რომელიც იოვანეს გურგულ ჩამომავლობას მიაწერს, ქართული შწერლობა და ბერძნული ენა მას ეურემ მცირის ხელმძღვანელობით შეუსწავლია, რის შემდეგაც საბერძნეთში გაუგზავნიათ «გვალად სწავლისათვის», ე. ი. სწავლის განსაკრძობად<sup>1</sup>. უკანასკნელ ცნობას მეორე გარდამოცემაც მხარს უჭერს; ორივე კერთათ გადაჭრით ამბობენ, რომ ის საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც იოვანემ უმაღლესი სწავლა განაკრძო, ათინა იყო<sup>2</sup>. და ჩვენც საკმაო საბუთი არ მოგვეპოება, უკანასკნელი ცნობის სინამდვილე უარყოფთ: შეიძლება, ახლაგაზდა იოვანე ათინაშიც ეოფილიყო. მხოლოდ უნდა დავსძინოთ, რომ, როგორც დღეს უკვე დამტკიცებულია, ბალკანეთის სახევარ კუნძულზე თვისი ეოფნა იოვანე ფილოსოფოსის დაუსრულებია მაკედონიაში, სახელდობრ სოფელ პეტრიტოს (ქლანდელი ბაჩკოვი) ქართულ მონასტერში, რომლისგანაც მიუღია თავისი მთავარი ზედმეტი სახელი: «პეტრიწი» ანუ „პეტრიწონელი“<sup>3</sup>.

ამ საბიოგრაფიო ცნობათა შორის მკითხველის უურადღებას განსაკუთრებით იმ ცნობას მივაქცევთ, რომელიც ეურემ მცირისა და იოვანე პეტრიწის ურთიერთობას შეეხება, რადგან ამ საკითხის გამოკვლევას შეუძლია შექტი მოჭფინოს იოვანე პეტრიწის ცნობებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიას, რაც ფრიად საჭიროა თვით წინამდებარე წიგნის ქართულად გადმოთარგმნის დროის გამოსაკვევად.

5. თავდაპირველათ უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ საკნის შესახებ უკვე ერთგვარი ლიტერატურაც არსებობს. ამ ლიტერატურ-

თავის ახალ გამოკვლევაში ბ-ნმა მარტმა თითქოს შესაძლოდ სცნო იმ გარდამოცემის მიღება, რომელიც იოვანე პეტრიწის სთელის „პირქიმულად“, თუმცა საამისოდ, თვით გარდამოცემის გარდა, სხვა არავითარ საბუთი არ უჩვენებია. იხ. Н. Марръ—Определение языка второй категории ахеменидскихъ клинообразныхъ надписей по даннымъ яфетическаго языкознанія. Спб. 1914 г. § 63 примѣч. 5-ое; თვით § 63-ში განმარტებულია სიტყვა კიმ-კიმ=კიმკიმულ ი=კიმკიმულ ი ანუ ცათა ცა ან небо небесь.

<sup>1</sup> «ძველი საქართველო» ტ. I, განყ. III, გვ. 15.

<sup>2</sup> «ძველი საქართველო» ტ. II, განყ. III, გვ. 40.

<sup>3</sup> მარტის Иоаннь Петрицкій. . . , стр. 1—2.

რის ერთი ნაწილი იოვანე ზეტრიწის ეფრემ მცირის მოწაფედ აღიარებს, მეორე ნაწილი კი—პირიქით: ეფრემის სთვლის, იოვანე ზეტრიწის მოწაფედ. უკანასკნელ აზრს ემხრობა აკადემიკოსი ნიკ. მარრიც. მიუხედავად ამისა, ის საბუთები და მოსაზრებანი, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ, ვგონებთ, სკამათო ნათელჰეოფენ, რომ ზემოაღნიშნულს ორ აზრში პირველი უფრო ახლო უნდა იყოს სიხამდვილესთან.

აი ეს საბუთები:

ა) თვით მარრისავე მოწმობით, ეფრემ მცირეს ჰქონდა შემთხვევა იოვანე ზეტრიწი თავის მასწავლებლად დაესახელებია (თუ კი უკანასკნელი მართლაც უოფილიყო მისი მასწავლებელი), მაგრამ იგი ამ საგნის შესახებ სიტყვასაც არა სძრავს; სამაგიეროდ, თავის მასწავლებლად აღიარებს გიორგი მთაწმინდელს<sup>1</sup>, რომელიც, როგორც ვიცით, 1066 წელს უკვე ცოცხალი აღარ იყო. ცხადია, მამასადაძე, რომ ეფრემის მოწაფეობა 1066 წლის წინა ხანას უნდა უკუთვნოდეს.

ბ) მართლაც, როგორც სვეტლესიო შწერალი და მოდგაწე, ეფრემ მცირე უმთავრესათ მე-XI-ე საუკუნის მეორე ნახევარშია ცნობილი; უფრო ხშირად იგი 1080—1090-იანს წლებში იხსენიება<sup>2</sup>; რუს-ურბნისის კრების ძეგლის-წერაში კი უკვე მიტვავლებულთა შორის არის მოხსენებული<sup>3</sup>; მამასადაძე 1103 წელს ეფრემ მცირე ცოცხალი აღარ უოფილა.

გ) ეგვლასკან ცნობილია, რომ იოვანე ზეტრიწმა სთარკმნა და ვრცლათ განმარტა ჰროკლე დიადობოსის «კავშირნი», რომელიც მი-

<sup>1</sup> Иоаннъ Петрицкій..., стр. 36—37.

<sup>2</sup> თ უორდანია: ქრონიკები, ტ. I, გვ. 214—228; 236.

<sup>3</sup> მისივე: ქრონიკები, ტ. II, გვ. 71—72. „...დაუსრულებელისა ნეტარებისა ჰვიდრთა ბერთა ჩუნთა: საბაჲ სულაჲს ქისა, და ანტონი ტბელისა, და ეფრემ მცირაჲსა და არსენი მონაზონისა იყალთოელისაჲ საუკუნო[მცა არს გსენებაჲ და კურთხევაჲ მათი]“. — ამიტომ გაუგებარია, რა ნახა სარწმუნო პატრივცემულმა გამომცემელმა თარიღარეულ წარწერაში, რომელსაც თავის „ქრონიკების“ I ტომის 225-ე გვერდზე იხსენიებს და შემდეგ კიდევ იმეორებს 1114 და 1116 წლებს ქვეშე (გვ. 241).

ხაარსით ფრიად რთულს და განუენებულს დიალექტიკას წარმოადგენს<sup>1</sup>; ხოლო, როგორც ამ „კავშირნი“-ს ბოლოსიტუვაობაში ამბობს, მასვე უთარგმნია ნემესიოსის წიგნიც «ბუნებისა-თჳს კაცისა»<sup>2</sup>; ამას გარდა მარნისავე მოწმობით, იოვანე ჰეტრიწის მიეწერება არისტოტელის თხზულებათა Τῆς τοιαύτης და Περὶ ἔρμηνείας ქართულად გადმოღებაც<sup>3</sup>. ერთი სიტყვით, იოვანე ჰეტრიწი ცნობილია, როგორც ფრიად ნაყოფიერი მთარგმნელი საფილოსოფოსო თხზულებათა ბერძნულიდან ქართულად, და, თუ იგი მართლს ეფერემ მცირის მასწავლებელი ყოფილიყო, რაღა თქმა უნდა, მოწაფეს (ისე როგორც, საზოგადოთ, მე-XI-ე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართველებს) კარგათ ეცოდინებოდა, რომ ზემოდასახელებული საფილოსოფოსო თხზულებანი ქართულს ენაზე უკვე არსებობდნენ. მაგრამ რას ვხედავთ? ეფერემ მცირე სთარგმნის იოვანე დამასკელის «დიალექტიკასა» და «გარდმოცემას»<sup>4</sup> და წინასიტუვაობაში კათეგორიულათ ამბობს, რომ მანამდე «სხუაჲ არა რაჲ ოდეს თარგმნილა (ქართულსა ენასა ზედა) საფილოსოფოსოთა წიგნთაგანი»<sup>5</sup>. აქედან ამჟამად, რომ იმ დროს, როცა, თარგმნაში უადრესათ დახელოვნებული, ეფერემ მცირე<sup>6</sup> საქრისტიანო მოძღვრების ქვაკუთხედს. იოვანე დამასკე-

<sup>1</sup> Иоаннъ Петрипскій... , стр. 34.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>4</sup> ამ თხზულების ზოგიერთი თავი ნემესიოსის წიგნის ზოგიერთ თავთა გამეორებას წარმოადგენს. ეს თავები ეფერემის თარგმანიდან და მზადებული გვაქვს დასაბუქად.

<sup>5</sup> იხ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 24, ფურც. 1, გვ. 1, სვეტი ბ; შეად. ე. თაყაიშვილის: Описание рукописей О-ва расправленія грамотности среди грузинскаго населенія, т. I, вып. 4, стр. 712.

<sup>6</sup> ჩვენ დაახლოებით გავიცანით ეფერემის მიერ ნათარგმნი დამასკელის თხზულება (საეკლ. მუზ ხელნაწერი № 24), მისი ერთი ნაწილი დასაბუქდადაც გადმოვწერეთ, — და დავრწმუნდით, რომ ესეთი უნაკლოლო თარგმანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ისეთს პირს, რომელიც ენათა ცოდნაში და თვით თარგმანის ტექნიკაში უადრესათ დახელოვნებული, თითქმის ამ საქმეში დამბცოვნებული, უნდა ყოფილიყო.



ლის დოღმატიკასა და თეოლოგიას, სიანგეზმობა, იოვანე ზეტრიწი ჯერ კიდევ სრულად უცნობი უფიქროსი თეოლოგიური მათემატიკური ქართული მწიგნობართა წიგნებში. ამიტომ გაუგებარია, როდის-ღა უნდა გამხდარიყო ზეტრიწი „მოძღვრად“ ეგრემ მცირისა? ნუ თუ მან, როცა უკანასკნელმა უკვე განვლავთ თვისის სამწერლო ნიჭის განვითარების უმთავრესი პერიოდი, თვისის სამწერლო მოღვაწეობის უნაყოფიერესი ხანა, და, დათნის გვირგვინებით ჭადარაშემკული, მშვიდობიანათ ლეკვა თვისის სიცოცხლის უკანასკნელს დღეებს?! ერთი სიტყვით, ძნელი დასაჯერებელია, უკეთ, უფლად შეუწინა-ბელია ის აზრი, ვითომც ეგრემ მცირე იოვანე ზეტრიწის მოწაფე უფიქროსი.

დ) საბავშვო, თვით ეგრემ მცირე ზემოთ დასახელებულის «გარდმოცემის» ერთ-ერთ მინაწერში, რომლის ტექსტი თვით ეგრემს ეკუთვნის, ფრიად საკულისხმო ცნობას იძლევა, რომელსაც შეუძლია, ჩვენთვის საინტერესო და სადაგო საგანს შუქი მოჭებინოს: სახელდობრ, თვის «თანამოღვაწეთა, თანაზრდილთა და მსახურთა» შორის იგი იხსენიებს: «ასენ იუალთოელს, **იოვანეს** და (კიდევ) **იოვანე ხუცესთა** და სტეფანე დიაკონს»<sup>1</sup>. შესაძლოა, ერთი ამ იოვანეთაგანი უფიქროსი ეგრემის უცნობი თანამედროვე და, გარდამოცემით, მის მიერვე ქართულს მწერლობასა და ბერძნულს ენაში განწაფული, ახალგაზდა იოვანე ჭიმჭიმელი, შემდეგში «ზეტრიწად» სახელდებული<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საეკლ. მუხ. ხელნაწერი № 24, ფურც. 138, გვ. 2: ანდერძი, ეფრემ მცირისა. შეად. თ. ყორდანის „ქრონიკები“ ტ. I, გვ. 219.

<sup>2</sup> ნიკ. მარს მოჰყავს ანტონ I კათალიკოსის «წყობილსიტყუაობის» ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია:

იტყვს თ ვ თ ე ფ რ ე მ მოძღვარ ყოფას თვსად  
იოანესა საღმრთო ფილქსოფოსისი.

აქედან პატივცემული მეცნიერი დასკვნის, რომ «это предание (ე. ი. გარდამოცემა, რომ ზეტრიწი მოძღვარი იყო ეფრემისა) восходит к самому Ефрему» (Иоаннъ Петрицкій..., стр. 37). მაგრამ «წყობილსიტყუაობის» მთლიანათ შესწავლა და თვით ამ ადგილის კონტექსტით განხილვა ნებას არ გვაძლევს, პატივცემულს მეცნიერს დავე-

ე) როგორც ეს გარდამოცემა, ისე ჩვენი უკანასკნელი ჰიბოთე-  
ტიური დასკვნა ჰარმონიულად ეთანხმება იმ ფაქტს, რომ პეტრიწო-  
ნის მონასტერი (მაკედონიაში), რომელთანაც მჭიდროდ დაკავშირე-  
ბულია იოვანე ჭიშკიმიელის სახელი („პეტრიწი“) და სამწიკრდო-სამე-  
ცნიერო მოღვაწეობის დასაწყისი, დაასრულებულ (თუ განახლებულ) იქ-

თანხმობა მართლაც ამ ორ სტრიქონში ეფრემის მასწავლებლად დასახე-  
ლებულია „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“; ამ ეპიტეტს კი ან-  
ტონი კათალიკოზი „წყობილსიტყუაობაში“ ერთხელაც არ მიაწერს იოვა-  
ნე ჭიშკიმიელს, თუმცა გრძლად და ენამზიანად შეაქებს მას და უწოდებს  
„ფილოსოფოს“, „ტეშმარიტ ფილოსოფოს“, მაგრამ არასოდეს  
„საღმრთო ფილოსოფოს“; ამ ეპიტეტს იგი ხმარობს მხოლოდ იოანე  
პატრიკ-ყოფილისათვის, რომელსაც სასტიკათ განაჩევის  
იოვანე ჭიშკიმიელ-პეტრიწისაგან. ჩვენ ხელთა გვაქვს „წყობილსიტყუა-  
ობის“ ხუთი ხელნაწერი (ქართვ. შ. წ. კ. გამ., საზოგადოებისა № № 1,  
346, 1477, 3688 და 121), რომელთაგან უძველესი (№ 1) გადაწერი-  
ლია 1745 წელს.—და არცერთს მათგანში (სწორედ ისე, როგორც არც  
იმ ნაბეჭდ „წყობილსიტყუაობაში“, რომლითაც ნიკ. მარტი სარგებლობს)  
იოვანე პეტრიწი-ჭიშკიმიელი არასოდეს „საღმრთო ფილო-  
სოფოსად“ იხსენიება. ცხადია, მაშასადამე, რომ ეფრემის მოძღვრად ან-  
ტონი I სთვლის იოანე პატრიკ-ყოფილს და არა იოვანე პეტრიწს,—  
და ეს გარდამოცემა, შესაძლოა, მართლაც თვით ეფრემის რომელსაღმე  
წერილობითს მოწმობაზე იყოს დამყარებული („ВОСХОДИТЬ КЪ САМОМУ  
ЕФРЕМУ“). შესაძლოა, იოანე „პატრიკ-ყოფილად“ ანტონ კა-  
თალიკოზს მიეღოს ის მესამე იოვანე „ფარაკეელი“, რომელსაც  
ეფრემ მცირე იხსენიებს ზემოდასახელებული თარგმანის წინასიტყვაობა-  
ში (საეკლ. მუხ. ხელნაწ. № 24, ფურცელი 4, გვ. 1, სვეტი ა—ბ) და  
ამბობს, რომ ახალი პუნქტუაცია ქართულ მწერლობაში ამ იოვანეს  
„ბრძანებით“ შემოვიტანეთ (შეად. „ქრონიკები“ I, გვ. 218).

რაც შეეხება ზაქარია გაბაშვილის მოწმობას, რომელიც ამბობს:  
„ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისაო“ („ქრონიკები“ I, გვ. 225),—  
ვგონებთ, აქ ზაქარია ანტონი კათალიკოზის ზემოგარჩეულს სიტყვებს უნდა  
ემყარებოდეს და, როგორც სჩანს, ეს სიტყვები მასაც შეცდომით გაუ-  
გია. ამასთანავე ფრიად საგულისხმოა, რომ ზაქარია გაბაშვილი არ იც-  
ნობს ეფრემის მთავარს ნათარგმნს თხზულებას „დიალექტიკასა“ და  
„გარდმოცემას“, თუმცა იქვე ეფრემის სხვა ნათარგმნები ჩამოთვლილი

მნა გრიგოლ ბაკურაიხის მიერ 1083 წელს<sup>1</sup>, ე. ი. სწორეთ იმ ათეულში, რომელსაც ეკუთვნის, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეფრემ მცირის სალიტურატურო მოღვაწეობის საუკეთესო ხანა, მისი სამწერლო ნიჭის მძლავრათ გადაშლისა და უადრესათ განვითარების პერიოდი. სჩანს, ამ დროს, ეფრემის მიერ ქართულსა და ბერძნულ ენაში განწაფული ახალგაზდა ხუცესი იოვანე ჭიმჭიმელი, ათინაში გაფლის შემდგომ, ახლად დაარსებულს (თუ განახლებულს) პეტრიწონის მონასტერში დაბინავებულსა და დაუწვია თვისი ფრიად ნაყოფიერი სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობა. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო, როგორც სჩანს, არა უადრეს 1083 წლისა, მაგრამ, შესაძლოა, არც უგვიანეს მე-XI-ე საუკუნის დასასრულისა. შესაძლებელია, ამ მონასტერში უოფნის დროს ეთარგმნოს იოვანეს ის თხზულებანი, რომელნიც ნიკ. მარრის სიაში 1—7 ნომრებ ქვეშ არიან აღნიშნულნი<sup>2</sup>; ნემესიოსის წიგნის შესახებ კი ერთი წერილობითი კარდამოცემის გვეუბნება, რომ ეს თხზულება იოვანე პეტრიწის კადმოელია (ბერძნულიდან ქართულად) «კელისის შინა გაენათისასა»<sup>3</sup>, მაშასადამე, სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ჩვენის ფიქრით, არა უადრეს მე-XII-ე საუკუნის დასაწყისისა, მაგრამ, შესაძლოა, არც უგვიანეს ამავე საუკუნის პირველი მეოთხედისა. ვამბობთ: «შესაძლოა, არა უგვიანეს მე-XII-ე საუკუნის პირველი მეოთხედისა», რადგან, როგორც «ქართლის ცხოვრების» უძველესი ვარიანტი მოწმობს, პეტრიწის უცოცხლნია დავით აღმაშენებელის კარდაცვალებამდე († 1125 წ.) და მოსწრებია მისი შვილის დიმიტრი I-ელის მეფობას, რომ-

აქვს. ეტყობა, ზაქარია გაბაშვილს სრული წარმოდგენა არა ჰქონია ეფრემის სამწერლო მოღვაწეობაზე.

<sup>1</sup> მარრის Ioannъ Petрицскій..., გვ. 2.

<sup>2</sup> იხ. Ioannъ Petрицскій..., стр. 4.

<sup>3</sup> იხ. ხელნაწერი A<sup>2</sup>, ფურც. 280a (=თაყაიშვილის „Описание рукописей О-ва распространения грамотности ср. груз. населения“, т. 1, вып. 4, стр. 723): „ელლაღელთ კმათაგან გაღმოიცა ესე ქართულად საკვირველისა ფილოსოფოსისა ჩუშნისა პეტრიწისა მიერ, იოანნედ სახელდებულისა, კელისისა შინა გაენათისასა“.

დისთვისაც ლექსად ხატობაც შიუძღვნია<sup>1</sup>, — მაგრამ ადარა სჩანს, მის მეფობაშიაც კიდევ დიდხანს უცოცხლნია, თუ არა. ამიტომ იოვანე ჰეტრიწის სამწერლად მოღვაწეობის დასასრულად ჩვენ მიგვაჩნია დიმიტრი I-ელის მეფობის პირველი წლები, ანუ 1126 წლის მასწავლებელი დრო. შესაძლოა, მისი სიცოცხლის დასასრულიც ამავე დროს ეკუთვნოდეს.

სამშობლოში დაბრუნების შემდგომ უთარგმნია იოვანეს პრაქტიკული დიდიხანის „კავშირნი“-ც, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, როცა ამ თხზულების გადმოღებას შესდგომია, მას უკვე დამთავრებული ჰქონია ნემესიოსის ტრაქტატის ქართული თარგმანი<sup>2</sup>.

ამგვართ, ჩვენი მთავარი დასკვნა შემდეგია: იოვანე ჰეტრიწის სამწერლად და სამეცნიეროდ მოღვაწეობა ეკუთვნის უმთავრესად დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125 წ.); ამ პერიოდის მეორე ნაწილი, სახელდობრ მე-XXII-ე საუკუნის პირველი მეოთხედი, მას სამშობლოში გაუტარებია; და, აი, სწორედ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ნემესიოსის ტრაქტატის გადმოღება ბერძნულიდან ქართულად.

6. თხზულება ნათარგმნია ბერძნული დედნიდან: ამას ამტკიცებს თვით თარგმანის ენა, რომელშიაც საკმაოდ მოიპოება, როგორც საგრამატიკო ელენიზმები<sup>3</sup>, ისე უთარგმნელად დატოვებული ბერძ-

<sup>1</sup> მარიამ დედოფლის ვარაიანტი „ქ.-ცხოვრებისა“, ე. თაყაიშვილის რედაქციით 1906 წ., გვ. 364, სტრიქ. 4—6: „...დიდებითა: სიმონითა: და: გუარითა: ცხოვრებისათა: აღმოაჩენს: იოვანე: ფილასოფოსისა: კიმპიმელისა: შესხმა: მითხრობა: დიმიტრისა: მკნესა: კლომათა: შინა: და: მძლესა: ბრძოლასა: შინა:....“.

<sup>2</sup> Иоаннъ Петрицскій..., стр. 35, სტრიქ. 12—13.

<sup>3</sup> არც ადგილი და არც საშუალება ნებას არ გვაძლევს ქართული თარგმანის ამ მხარეს ვრცლად შევხვით: არცერთი ბერძნული გამოცემა ხელთ არა გვაქვს და იძულებული ვართ იმ მასალებს დავემყაროთ, რომელნიც რუსული თარგმანის ტექსტში და შენიშვნებში მოიპოება (აგრეთვე „Словарь“-ში, რომელიც რუსულ თარგმანს აქვს დართული). როგორც თვით მთარგმნელი მოწმობს, რუსული ტექსტი ბერძნული დედნის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოცემა (Предисловіе, стр. XXXIV: «...мы старались, по возможности, держаться буквы греческаго текста...»); ხოლო, სადაც, თარგმანის ტექსტში, მხოლოდ დედნის აზ-



ძნული სიტყვები<sup>1</sup>; ამასვე სათელჭყოფის ის ქართული ტერმინებიც, რომელნიც მათის საბაზლო ბერძნული ტერმინების გეგმით არაფრ ნაწარმოები ქართულად ძირებისაგან<sup>2</sup>.

სასოგადო შედგენილობა იმ ბერძნული დედნისა დასხვაობით ისეთივე უფიფლა, როგორც აქვსთ დღემდე ცნობილ სრულ გამოცემათ<sup>3</sup>: იქ სავსებით, ან თითქმის სავსებით, წარმოდგენილი უფიფლა ნემესიოსის თხზულების ის ტექსტი, რომელიც ცნობილს გამოცემებში 44 თავად დაბეჭდილია<sup>4</sup>; მხოლოდ დროთა განმავლობაში ქართული თარგმანიდან მე-43-ე თავის ტექსტი სრულიად დაკარგუ-

რია გადმოცემული, იქვე სხოლიოში იმავე ადგილის სიტყვასიტყვითი თარგმანიცაა წარმოდგენილი, ხშირათ თვით ბერძნული ტექსტიც მოყვანილია. როცა ამ მასალებს ქართული თარგმანი შეუდარეთ, უკანასკნელში საკმაოთ აღმოჩნდა ტექნიკური ხასიათის საგრამატიკო ელინინიზმები, მაგალითად: „მებრ დანახეთქითა“=χατá τχέσιν, „მებრ დაულღვით“, „მებრ დახულომით“, ან კიდევ: „მებრ დახულომისა-ებრ“ და სხვანი (იხ. ეს სიტყვები ლექსიკონში). იმედია, როცა ჩვენი სპეციალისტები წინამდებარე ტექსტს ბერძნულ დედანს შეუდარებენ, ამგვარ ელინინიზმთა რაკვები კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება ქართულ თარგმანში.

<sup>1</sup> იხ ჩვენს ლექსიკონში: ადენესი, ავტომატობაჟი, აკალიფადი, აირი, არტირიაჟ, ასთაკვ, დრასტიკაოჟ, ეთერი, ექსორიაჟ, ვრონხოჟ, ზმულნი და მრავალნი სხვანი.

<sup>2</sup> იხ. ჩვენს ლექსიკონში, მაგალ., სიტყვები: ამფსმელი, ერთტომი, ზღვს-სახე, თავუნი-მუესნი (=μνς) და სხვანი.

<sup>3</sup> ვგულისხმობთ შემდეგ გამოცემათ: ა) ანტვერპენისას 1565 წლისა (რუს. თარგმ. Предисловіе, стр. XXX—XXXI), რომლის გვერდებიც ნაჩვენებია რუსული თარგმანის არშიებზე; ბ) მატთისას, ჰალეში, 1802 წლისა, რომლის თარგმანსაც წარმოადგენს რუსული ტექსტი (იქვე, გვ. XXXIII) და გ) გამოცემას მინისას (Patrologiae cursus completus, t. 40 ser. graec., 1858 an.), რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება წინა გამოცემისაგან (იქვე. XXXIII).

<sup>4</sup> ვამბობთ «თითქმის სავსებით»; რადგან, როგორც ეტყობა იმ დედანში არ უნდა ყოფილიყოს ის რამოდენიმე სტრიქონი (მეორე თავისა), რომლებიც არცერთ ქართულ ხელნაწერში არ მოიპოვება და რომელთ მოკლე შინაარსიც, რუსულიდან ამოღებული, ჩვენს გამოცემაში მოთავსებული გვაქვს მე-32-ე გვერდის სხოლიოში (\*\*).

და<sup>1</sup>, ხოლო მე-44-ე თავის მცირეოდენიდა ნაწილი დარჩენილა<sup>2</sup>; რამდენიმე სტრიქონი დაჭკვების ბოლოში მე-42-ე თავს<sup>3</sup> და რამდენიმე გვერდი ამოვარდნილა, აგრეთვე, მე-2-ე თავიდანაც<sup>4</sup>. მკრამ იმ ტექსტში თავების სათვალავი და რიგი მთავათ ისეთი არ ეოფილა, როგორც ზემოთ დასახელებულ გამოცემებშია წარმოდგენილი<sup>5</sup>.

დედნის ამგვარი შედგენილობა ჩვენს მთარგმნელს ხელუხლებული დაუტოვებისა და თავების რიგით უცვლელათ ზიუდა; დიდი სიფრთხილით მოქცევა, აგრეთვე, ბერძნული დედნის სტილსაც, განსაკუთრებით სპეციალურ და ტექნიკურ ტერმინებს, რომელნიც სიტყვა-სიტყვით უთარგმნია, ან სრულიად უთარგმნელი შემოუტანია ქართულ ტექსტში. თუმცა, სადაც საჭიროდ დაუნახავს, აქა-იქ ტექსტი შეუცვლია, მაგრამ ისე კი, რომ დედნის აზრი მცირეოდენათვ არ დარღვეულიყო<sup>6</sup>.

<sup>1</sup> იხ. მისი მოკლე შინაარსი ჩვენი გამოცემის გვ. 168.

<sup>2</sup> იხ. ჩე. გამოც. გვ. 171—173.

<sup>3</sup> რაც ჩვენს გამოცემაში კორპუსითაა დაბეჭდილი, გვ. 167—168.

<sup>4</sup> სახელდობრ პითალორის შეხედულების გარჩევის ბოლო და ვენომიოსის აზრის გარჩევის დასაწყისი, იხ. გვ. 40—42, სხოლიოები; იქვე გვაქვს აღნიშნული, თუ როგორ შეუცვლია გადამწერს დანარჩენი ტექსტი ვენომიოსის მოძღვრების კრიტიკისა.

<sup>5</sup> იხ. ჩვენი გამოცემის ბოლოში მე-IV-ე დამატება: „ხელნაწერის თავთა საძიებელი ჩვენსა და რუსულ გამოცემაში“ გვ. 230—231.

<sup>6</sup> ასე იქცევა პეტრიწი იმ შემთხვევაში, როცა გრძნობს, რომ ესა თუ ის უზერხული მაგალითი ბერძნული ტექსტისა ქართველ მკვლეველზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს, შეიძლება მკითხველის ზნეობრივი შეგნებაც შელახოს. აი ნიმუში:

«Душа занимает мѣсто художника, тѣло—инструмента; матерія есть тѣ, около чего сосредоточивается дѣйствіе, совершеніе же есть самое дѣйствіе. [Такъ, напр., какъ матерія—подлежитъ женщина, ибо на ней сосредоточивается дѣйствіе,—

„სულსა წესი უპყრიეს კვლოვნისაჲ, ხილო სხეულსა — ორღანოსა; ნივთ უკუტ არს, რომლისად თვთ საქმე იგი; ვითარ რაჲ: ნივთად წინაჲმ დეებ არს შეგნაჲ, ხოლო

საზოგადოთ, ჩვენი მთარგმნელი არ იფიქრებს იმ აუდიტორიას, რომლისთვისაც სთარგმნის: აქა-იქ ძნელი აზრებისა და ფრასების სათელსაყოფედად საკმაოდ ვრცელს განმარტებას იძლევა (სხოლიო-ებად, ანშიებზე), რაც მკითხველს უადვილებს მისი თარგმანით სარგებლობას<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, იოვანე პეტრიწი ზედმიწევნით სწორი და გე-თაილსინდისიერი მთარგმნელია, მაგრამ ბერძნული დედნის ბრმა მონა-რედა. მას სწამს, რომ ღრმა საიელიტოფოსო და სამეცნიერო აზ-რები და ცნებანი ქართულათაც შეიძლება გამოისატოს, ბერძნულს სა-მეცნიერო ტერმინს შესაფერი ტერმინი ქართულშიც გამოეძებნოს ან, თუ არ მოეპოება, ქართულსავე ძირიდან შეითხზას<sup>2</sup>; მაგრამ ამასთან-ავე იგი არ არის «ასოთ-თაუვანის-მცემელი», რომელიც ისე თრთო-დეს დედნის ყოველი ფრაზისა და სიტყვის წინაშე, რომ დედნის წინააღმდეგ თარგმანში რაიმე ცვლილების შეტანა მომაკვდინებულ ცოდვად მიანდეს. იოვანე ჭიმჭიმელი ამგვარ მთარგმნელთა რიცხვს არ ეკუთვნის: იგი შეგნებული მთარგმნელია, რომელსაც მშეენიერათ ესმის, როგორც ძალა-სიმდიდრე იმ ენისა, რომელზედაც სთარგმნის, აგრეთვე თვისი მოვალეობა იმ საზოგადოების წინაშე, რომლისთვისაც მისი თარგმანი დანიშნულია<sup>3</sup>.

дѣйствиѣ же есть прелюбодѣянiе, или а მის - თ ვ ს მ ო ქ მ ე დ ე -  
 блудъ, или законное сожителство» ბ ა დ — ხ უ რ ო ვ ნ ო ბ ა ა »  
 (რუს. თარგმან. 90). (ჩვენი გამოც. გვ. 71).

<sup>1</sup> ასეთი შენიშვნა-განმარტებანი სხვა პირთაც ეკუთვნის და ეს გა-რემოება, სამწუხაროთ, აძნელებს იმის გამოჩვენებას, თუ ამ განმარტება-თა შორის რომელი ეკუთვნის იოვანე პეტრიწსა. (იხ. მე-V-ე დამატება ამ წიგნის ბოლოში).

<sup>2</sup> საზოგადოთ იოვანე პეტრიწის თარგმანთა ენის დახასიათება იხ. ნიკ. მარრის *Иоаннь Петриискій...*, стр. 33—35.

<sup>3</sup> რომ ჩვენი წარმოდგენა იოვანე პეტრიწის მთარგმნელობაზე უფ-რო სრული იქნეს, შევნიშნავთ, რომ იოვანე ამ დარგის თხზულებათა თარგმანში უმწეო არ იყო: მას, უეჭველია, ხელთ ექმნებოდა თვისი უფროსი თანამედროვის (და მასწავლებლის) ეფრემ მცირის მიერ ნათარ-გმნი თხზულება იოვანე დამასკელისა „გარდმოცემაჲ“, რომლის 26—43 თავები შინაარსით ნემესიოსის წიგნის შემოკლებულს გადმოცემას წარ-

7. ახლა ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა ჰქონია ამ თხზულების თარგმანს ძველად ქართველი საზოგადოებისათვის? ან რა ინტერესს წარმოადგენს იგი დღეს, ჩვენი დროის ქართველობისათვის? სამწუხაროდ, უნდა თავიდანვე შევნიშნოთ, რომ ჰირდაპირი ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენათ გავრცელებული უაფილას ნემესიოსის თხზულება ქართველთა შორის, ჩვენ არ მოგვეპოება. ამიტომ იძულებული ვართ, არაჰირდაპირს წყაროებს მივმართოთ. ერთ ამგვარ წყაროს წარმოადგენს, სხვათა შორის, აღნიშნული თხზულების დღემდე შენახულ ხელნაწერთა შესწავლა და დაკვირვება<sup>1</sup>. ამ დაკვირვებიდან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მე-18-ე საუკუნის დამლევამდე (და შემდეგაც) ქართველთა შორის ამ თხზულებისადმი ცნობილი ინტერესი არ მისხობილა. ფილასოფიურათ მასზროფნუ ქართველები ნემესიოსის წიგნს დიდის მწიწებით ეპყრობდნენ, რაგორც ერთგვარს ენციკლოპედიას, რომელშიც თავმოყრილი იყო ძველ ბერძნის ფილასოფოსთა სიბრძნე მოძღვრება კაცის ბუნების

მოადგენენ (საეკლ მუზ. ხელნაწერი № 24, ფურც. 64b — 78a); ხელთ უნდა ჰქონოდა, აგრეთვე, უკვე მე-X-ე საუკუნემდე პირველათ ნათარგმნი და შემდეგ მე-XI-ე საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის მიერ მეორეთ გადმოღებული თხზულება გრიგოლ ნოსელისა: „კაცისა შესაქმნისა-თჳს“ (იხ. შატბერდული ხელნაწერები: წ-კ. საზოგადოებისა № 1141, გვ. 2 — 121 და საეკლესიო მუზეუმისა № 73, გვ. 247 — 419). ამ თხზულებებში, განსაკუთრებით დამასკელის „გარდმოცემაჲ“-ში ძრავლათ მოიპოება საანატომიო, საფიზიოლოგიო და საპსიხოლოგიო ტერმინები.

<sup>1</sup> როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ დრომდე შენახულ სამი ხელნაწერიდან (AA<sup>1</sup>A<sup>2</sup>) ორი უკანასკნელი მე-18-ე და მე-19-ე საუკუნეშია გადაწერილი, როგორც სჩანს, არა პირდაპირ A-იდან, არამედ სხვა პირის მესაშვალეობით, თვით ის გარემოება, რომ უძველეს ხელნაწერთაგან ჩვენამდე მხოლოდ ერთს ეკუთმპლიარს (A) მოუწევია (და იმასაც დიდათ დაზიანებულს), შესაძლოა, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ამ თხზულებას ქართველთა შორის დიდი გასავალი ჰქონია, ხელიდან ხელში საჯოგმანებელი გამხდარა, რის გამოც სხვა უძველესი ხელნაწერები, სწირი ხმარებისა გამო, გაცვეთილან და აღარ შენახულან. მოიგონეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბედი, რომლის არცერთი მე-17-ე საუკუნეზე უძველესი ხელნაწერი არ შენახულა.



შესახებ, ქრისტიანული თვალსაზრისით გაბუქებული<sup>1</sup>. ვგონებთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ძველად ბერძნის ფილოსოფოსთა აზრები მართლმორწმუნე ქართველთა შორის უფრო ამკვარი წიგნების შემწეობით გრძელდებოდა<sup>2</sup>, ვინემ თვით საფილოსოფოსო ტრაქტატების ზირდაზირი თარგმანებით<sup>3</sup>. ამიტომ საფიქრებელია, რომ იმ წყაროთა შორის, რომელთა გავლენითაც მე-XII-ე საუკუნის ქართულ საერო მწერლობაში ჰლატონური და, საზოგადოთ, ფილოსოფიური იდეები შემოსულა<sup>4</sup>, არა მცირედი წილი ჰეტრიწის მიერ ნათარგმნს ნემესიოსის წიგნსაც უნდა ჰქონოდაც. კიდევ უფრო მეტი უნდა ეოფილიყო ამ წიგნის გავლენა მე-XII—XVIII-ე საუკუნის ქართულ სასულიერო მწერლობაზე. მაგრამ ამ საკითხს ცალკე გამოკვლევა სჭირია, რომლისთვისაც აქ არც დრო მოგვეპოება და არც ადგილი. ამასთანავე, სიმართლე მოითხოვს შევნიშნოთ, რომ აღნიშნული საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობა ჯერ-ჯერობით იმდენათ შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია, რომ მართა დრო და ადგილი, თუნდ კიდევაც გვექნოდა, აქ მაინც ვერას გვიშველიდა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> თავის მოწიწებითს აღტაცებას ამ წიგნის მკითხველები ზოგჯერ იქვე გარეთ კაბადონზე წააწერდნენ ხოლმე, როგორც მოქცეულა, მაგალ., A-ხელნაწერის მკითხველი, რომელიც სწერს: „ვითართა ვითარისა გამომეტყუელთა სიბრძნისათა ესე არს!“ (იხ. A, ყდის შემდეგ პირველი ფურცელი, გვერდი პირველი, მხედრული წარწერა მე-17—18-ე საუკუნისა).

<sup>2</sup> მაგალ., მოვიგონოთ ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი თხზულებანი იოვანე დამასკელისა: „დიდლექტიკა“ და „გარდმოცემაჲ“, რომელთაგან პირველი წარმოადგენს ლოლიკას არისტოტელის თანახმად.

<sup>3</sup> ყოველ შემთხვევაში გადაჭრილი ცნობა იმის შესახებ, რომ ძველ ფილოსოფოსთა თხზულებანი ქართულათ ითარგმნებოდნენ, ჩვენ ჯერ-ჯერობით მართა არისტოტელის „ტოპიკისა“ და „პერიერმინის“ შესახებ მოგვეპოება.

<sup>4</sup> იხ. ნიკ. მარის I. Петрицк., გვ. 42, სტრიქონი 5—7.

<sup>5</sup> ამ წიგნის გავრცელების ხარისხს მე-17—18-ე საუკუნის ქართველ მწიგნობარ-მკითხველთა შორის რამოდენათმე მოწმობს ის გარემოებაც, რომ ცნობილი ლექსიკოგრაფი საბა-სულხან ორბელიანი მრავლად იღებს მასალას და ხსნის სიტყვებს ნემესიოსის წიგნიდან (იხ. მაგალ. მის ლექ-

ამიტომ ზირდაზირ გადავიდვართ მეორე საკითხზე, რომელიც ამ საკითხთან შეკავშირებულია, სახელდობრ: რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნემესიოსის ქართულ თარგმანს დღეს, რა ინტერესს უნდა წარმოადგენდეს იგი თანამედროვე ქართველებისათვის?

8. რაღა თქმა უნდა, წინამდებარე თარგმანის მთავარი მნიშვნელობა დღეს სინსტორიკო და სამეცნიეროა. ქართული „მეტყველების“ (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მეკლევარს იგი აწვდის ფრადსაინტერესო მასალას იმგვარი საკითხების გამოსარკვევად, როგორცაა, მაგალითად: ბიზანტიურ და ქართულ კულტურათა ურთიერთობა, ზირველის გავლენა უკანასკნელზე და უკანასკნელის მიერ ზირველის შეთვისების ხარისხი. საუურადღებოა ეს ძეგლი, როგორც ერთი ამ მრავალ წყაროთაგანი, საიდგანაც საზრდოობდა ჩვენი წინაპრების სოფელმხედველობა მთელი საუკუნეების განმავლობაში; ამ მხრით იგი ერთგვარი საზომია გონებრივი კულტურის ამ სიმაღლისა, სადამდასაც სწვდებოდა მოწინავე ქართველის გონება მე-XII—XVIII-ე საუკუნეებში. კერძოთ, საინტერესო მასალას იძლევა ეს თარგმანი იმ სამეცნიერო და სამწიკნობრო სკოლის დასახსნათებლად, რომელსაც ეკუთვნოდნენ თვით იოვანე ზეტრიწი, მისი უფროსი თანამედროვენი: ეფრემ მცირე და არსენი იუალთოელი, ცოტა უფრო ადრე იოანე ზატრიკ-ყოფილი «სადმრთო ფილოსოფოსი» (მოძღვარი ეფრემ მცირისა), იოანე ტარიჭისძე (თანამედროვე დავით აღმაშენებლისა) და სხვანი<sup>1</sup>. მაგრამ განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ეს თარგმანი ქართული ენის მეკლევართათვის: არ შევცდებით, თუ ვიტყვით,

სიკონში შემდეგი სიტყვები: ადენეს, აკალიფადი, ასო, ბლაგვი, გარდაცემა, დრასტიკო, ენო, ერმაული, ვრონხო და მრავალნი სხვანი). ეს გარემოება ჩვენზე ადრე აღნიშნული აქვს ბ. ე. თაყაიშვილს (იხ. მისი: Описание рукописей... I, стр. 703).

ამ წიგნით უნდა ესარგებლნოს, ვგონებთ, «კალმასობის» ავტორსაც.

<sup>1</sup> შეად. მარის I. Петрицк., გვ. 57—58. ხოლო რომ ეფრემის მოძღვარი იყო იოვანე ზატრიკ-ყოფილი „სადმრთო ფილოსოფოსი“, ამაზე იხ. ანტონ I-ის „წყობილსიტყუობა“ (A, ხანა 746 და შეუდ. ხანა 723, ტაეი მე-4).

რომ იმ ძეგლთა შორის, რომელთაც ჩვენ დრომდე მე-XI—XII-ე საუკუნიდან მოუწევია, არცერთი არ შეიცავს ისეთს უხვსა და მრავალმხრივს ლექსიკურ მასალას, იმდენს, ერთათ თავ-მოყრილს, მეტაფიზიკურ-ფილოსოფიურს, განსაკუთრებით ჰსიხლგოგიურს და ანატომიურ-ფიზიოლოგიურს, რამდენამე სამათემატიკო და სხვა სამეცნიერო ტერმინს, რამდენსაც—ჰეტრიწის მიერ ნათარგმნი „ბუნების-თვს კაცისა“. ამ მხრით აღნიშნული თარგმანი დიდათ საყურადღებოა არა მარტო ქართული ენის მკვლევარ-თეორეტიკოსთათვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვინც დღეს პრაქტიკულათ ჩამოუღია ქართულ სამეცნიერო მუშაობაში და სცდილობს, დედაენის უოვედმხრივს გამდიდრებასა და განვითარებას შეძლებისდაგვარათ ხელი შეუწყოს. ამ თარგმანში მრავალ ძვირფასს საყნო მასალას იპოვის როგორც ქართველი ღვთისმეტყველი, ისე ფილოსოფიურათ მოაზროვნე ქართველი, ჰსიხლგო-ჰედგოგი, ექიმი, საზოგადოთ ბუნებისმეტყველი და, რამდენამე, მათემატიკოსიც.

ასეთთა წინამდებარე თარგმანის სამეცნიერო თეორეტიკული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგრამ, ვფიქრობთ, მას სიამოვნებით წაიკითხავენ ის ინტელიგენტი ქართველებიც (მღვდლები, მასწავლებლები, იურისტები, ექიმები და სხვანი), რომელთაც საზოგადოთ აინტერესებთ იმგვარი საგნები და საკითხები, როგორნიც ამ წიგნში არიან განხილულნი, განსაკუთრებით საკითხნი: სულისა და სხეულის ურთიერთობაზე, ნებელობის თავისუფლებაზე, საზოგადოთ მსოფლიოსა და ადამიანზე, საღმრთო განგებაზე და სხვანი.

## III

## ხელნაწერები და ჩვენს გამომცემა

9. ამ წიგნის გამომცემის დროს სამი ხელნაწერით ვსარგებლობდით. სამივე «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას» ეკუთვნის: № 2579=A; № 339=A<sup>1</sup>; № 1358, ფურც. 249b—280a=A<sup>2</sup>.

ამ სამს გარდა სხვა ქართული ხელნაწერი ნემესიოსის წიგნისა დღემდე ცნობილი არაა. პირველი გადაწერილია არა რეგინეს მე-**XIV—XV**-ე საუკუნისა, მეორე მე-**XVIII**-ე საუკუნეში და მესამე—მე-**XIX**-ე საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ ხელნაწერთა ფრცველი აღწერა და დათარიღება ბ-ნს ე. თაყაიშვილს. ეკუთვნის<sup>1</sup>. ამიტომ მათს აღწერას აქ აღარ გამოვიყენებთ. შევეცდებით მხოლოდ, მათი მკვლე ისტორია წარმოვადგინოთ, ქართული ტექსტის ისტორიასთან ერთად. თან შევავსებთ და შევასწორებთ იმას, რაც ბ-ნის თაყაიშვილის აღწერილობას აკლია, ან ხელნაწერის ნამდვილ მდგომარეობას არ შეეფერება.

საგვებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომ სამივე ხელნაწერი ერთის ჩამომავლობისაა. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმას, ვითომც მე-სამე ხელნაწერი ( $=A^2$ , რომელიც კრებულშია მოთავსებული და ბ-ნს თაყაიშვილს აწერილი აქვს 129 ნომერ ქვეშ) გადაწერილი იყოს მეორე ხელნაწერთან ( $=A^1$ , რომელიც ბ-ნს თაყაიშვილს აწერილი აქვს 128 ნომერ ქვეშ).

ამ ორი ხელნაწერის ერთიერთობის შესახებ პოტივცემული არქეოლოგი ბრძანებს: «Книга Немесія „О природѣ человека“, имѣющаяся въ нашемъ сборникѣ, списана, безъ сомнѣнія, съ предыдущей рукописи»<sup>2</sup>. მაგრამ, როგორც მკითხველი ჩვენი გამოცემის მე-**VI**-ე დამატებიდან დარწმუნდება, ამისი თქმა არამტყუ უეჭველობით, ჰიპოთეტიურათაღ კი არ შეიძლება:  $A^2$ -ში მოიხიება თითქმის ყველა ის ადგილი, რომელიც  $A^1$ -ში გადამწერის მიერ გამოშვებულია; ცხადია, მაშასადამე, უკანასკნელი პირველის დედნად ვერ ჩათვლება.

სამაგიეროდ, ერთი რამ კა უოველ ეჭვს გარეშეა, სახელდობრ ის, რომ როგორც  $A^1$ , ისე  $A^2$  ხელნაწერ-**A**-ისაგან ჩამომავლობენ, მათი უუძველესი (თუმცა არა პირდაპირი) დედანი **A**-ხელნაწერია. ამას ცხად ჰქოფს შემდეგი გარემოება: **A**-ხელნაწერის ბოლოში დაკარგუ-

<sup>1</sup> Описание рукописей Огва распр. грам. ср. груз. населенія, т. I, стр. 703—724.

<sup>2</sup> Описание... I, стр. 724.

ღია რამოდენიმე ფურცელი (ამაზე იხ. ცოტა ქვემოთ) და მისი ტექსტი წელება მე 282-ე გვერდის უკანასკნელ, სახელდობრ მე-18-ე, სტრიქონზე (A-ის უფველ გვერდზე აგრამეტ-თვრამეტი სტრიქონია), ნახევარი სიტყვით: „ამ...“; სწორეთ ამავე ნახევარ სიტყვაზე სწელება A<sup>1</sup>-ისა და A<sup>2</sup>-ის ტექსტიც, თუმცა მათ ერთი ფურცელიც არ აკლიათ<sup>1</sup>, ზირიქით: A<sup>1</sup>-ში უკანასკნელ გვერდზე (254) ამ ნახევარ სიტყვის შემდგომ კიდევ ექვსი სტრიქონის ადგილია. თავისუფლათ გაშვებული, ხოლო A<sup>2</sup>-ის გადაშვერი ოვითხნვე შენიშნავს: „აქ დასასრულსა დედანსაცა აკლდა“ (Описание... I, стр. 723<sub>6</sub>) და დიდ ადგილს სტრეებს თავისუფლად დაკარგულის გვერდებისათვის.

ერთი სიტყვით, ამ სამ ხელნაწერში უძველესი ტექსტის მატარებელი A-ია, დანარჩენები კი მისგან ჩამომავლობენ, ხოლო სამნივე ერთათ, დახლოებით, შემდეგი ზრატესის ნუფოს წარმადგენენ.

სანამ A-ხელნაწერი გახნდებოდა, ნემსიოსის წიგნის ქართულ ტექსტს შემდეგი ისტორია ჭქონია გამოვლილი: თავდაპირველათ ეს ტექსტი დახლოებით იმ სივრცისა უფთილა, რა სივრცისაცა ცნობილ ბერძნულ გამოცემათა ტექსტი<sup>2</sup>. მაგრამ, დროთა განმავლობაში იმ ტექსტიდან დაკარგულა მეორე თავის რამოდენიმე ფურცელი, სახელდობრ, ზითადორის აზრის კრიტიკის დასასრული და ეგნომიო-

<sup>1</sup> ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს ბ-ნი ე. თაყაიშვილიც, როცა ამბობს: „Текстъ (ხელნაწერისა A<sup>1</sup>, რომელზედაც იქ არის ლაპარაკი) начинается и кончается такъ же, какъ въ предыдущей рукописи (იგულისხმება პირველი ხელნაწერი=A), стало быть рукопись дефектна, но дефектность не происходитъ отъ потери листовъ въ концѣ рукописи, какъ это наблюдается въ предыдущемъ спискѣ (=A), а отъ того, что дефектенъ былъ оригиналъ, откуда списали нашу рукопись“ (Описание... I, стр. 707); შუად. стр. 723 (სტრიქონები 4—7).

<sup>2</sup> მაგალ. ანტევრპენისა (რომლის გვერდებიც ნაჩვენებია რუს. თარგმანის არშიებზე) და მატთისა, საიდგანაც გადმოღებულა რუსული ტექსტი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით.—შუად. ზემოთ ამ წინასიტყვაობის § 6.



სის ქეხედულების კრიტიკის დასაწყისი<sup>1</sup>. ამას გარდა ხელნაწერში ფურცლები არეულ-დარეულა, რასაც გამოუწვევია თავების ტექსტისა და მათი სათაურების არეგ-დარეგაც (ამაზე იხ. ქვემოთ ამავე წინასიტყვაობის მე-12-ე მუხლი, გვ. XXXII, სხოლიო 1-ლი).

სწორეთ ამ დროს გადმოუწერიათ იმ უცნობი ხელნაწერიდან A-ხელნაწერი. თავდაპირველათ ამ ხელნაწერში (A) ოცი რეეული ყოფილა (ამაზე იხ. ქვემოთ ამავე წინასიტყვაობის შემდეგი მუხლი), მაგრამ დროს მისთვისაც მწარე დადი დაუკრავს: მასში დაზიანებული ორი უკანასკნელი რეეული, საიდანაც დაკარგულა ის ფურცლები, რომლებზედაც მოთავსებული ყოფილა: მე-42-ე თავის ბოლო<sup>2</sup>, მთელი მე-43-ე თავი<sup>3</sup> და მე-44-ე თავის პირველი უდიდესი ნაწილი<sup>4</sup>. აქ ჩამოთვლილი ადგილები — აღარც ერთს ქართულ ხელნაწერში არ მოიპოება, მაგრამ შენახულია იმისი კვალი, რომ ეს ადგილები ყოფილა ქართულ ტექსტში<sup>5</sup>; დაკარგულა A-ხელნაწერიდან მე-20-ე რეეულის ორი უკანასკნელი ფურცელიც, რომლებზედაც წერებულა

<sup>1</sup> ჩვენი გამოც. 40—42 სხოლიოები და რუსული თარგმანი გვ. 57<sub>22</sub>—58<sub>25</sub>, დაწყებული სიტყვებით: „Однако и Пифагоръ...“ (57<sub>22</sub>) და გათავებული სიტყვებითა: „...или признать душу смертной...“ (58<sub>25</sub>): რომ ეს ადგილი თავდაპირველათ ნამდვილათ ყოფილა ქართულ ტექსტში, ამას ცხადყოფს ის ნიშან-კვალი, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს მე-42-ე გვერდის სხოლიოში: გადამწერის მიერ მხოლოდობითი რიცხვის გადაკეთება მრავლობითად და ევნომიოსზე უპიროვნოთ (ან მრავლობითი რიცხვით) ლაპარაკი.

<sup>2</sup> ჩვ. გამოც. 167—168 (კორპუსით დაბეჭდილი) = რუს. თარგმანი გვ. 191—192 სიტყვებიდან: „Какимъ-же образомъ...“ (191<sub>21</sub>) ბოლომდე.

<sup>3</sup> ჩვ. გამოც. 168 = რუს. თარგმ. 192—193.

<sup>4</sup> ჩვ. გამოც. 168—171 (კორპუსით ნაბეჭდი) = რუს. თარგმ. 193—202 გათავებული სიტყვებითა: „— въ образѣ жизни...“ (202<sub>17</sub>).

რამეთუ ნერგნი ვართ ზეციერნი, —ნუ ვარცხუენთ ბუნებასა, ნუცა ეზომ-  
10 თა ნიჴთაჲსა გამოვჩნდებით უდიდსად, არამედ ნუცა თაფთა თვსთა  
ესერაბამთა კელმწიფებათა და ნეტარებათა-გან მოვაკლებთ და მცირი-  
სა ჟამისა და წუთისა გემოჲსა-თვს ყოველთა სუგუენთა განმცემელ  
ვექმნეთ შუშბასა; არამედ კეთილთა საქმეთა-მიერ, განუენებითა ღირ-  
წთა-გან და სიმართლით განცდიითა და ღოცვათა-მიერ კეთილტომ-  
15 ვანობაჲ | დავიცვათ.

A40

ამათ-თვს უკუწ და კმა ესეცა.

ხოლო, ვინაშთგან კაცისა სულისა და სხეულთა-გან უფოსა  
საზოგადოჲ შთამთავდებს სიტყუაჲ, —მოადე და განვაჴგნეთ და ზირ-  
ველ სულისა-თვს ვიწყოთ, ხოლო ფრიად წუდილადსა და მიმოდუ-  
20 ღარწნილსა და მრავალთა-თვს საძიებულთა ძინად გასგანებელსა თა-  
ნაწარვჴქედეთ.

### თ ა ვ ი ი

#### ს უ ლ ი ს ა - თ ვ ს

კინდა განიყოფების ყოველთა ძუწლთა სიტყუაჲ სულისა-თვს.  
25 რამეთუ დიმოკრიტოს უკუწ და ეპიკუროს და ყოველთა სტოკლთა  
ფილოსოფოსთა, შეზავებულად, სხეულად სული აღმთქუწს. არამედ  
ესენიცა, რადღენი სულსა სხეულად აღმოტყვან, არსებისა-თვს მი-

სის განიყოფიან: რამეთუ სტოკენი ფშვნად იტყოდეს მას მკურ-  
ვალად და ცეცხლთანად, ხოლო კრიტია—სისხლად, არამედ იმპონ  
ფილოსოფოსი — წყლად, ხოლო დიმიკრიტოს — ცეცხლად, | რამეთუ A41  
მრგულნი სიერონაკუსთნი განუკუსთელთანი, შედარებულნი და თა-  
5 ნაშესჯილნი, ცეცხლად და ჰერად სულს აღასრულებენ; ხო-  
ლო ირაკლიტოს სულს ყოვლისასა — ერთქლად ნოტიოთა-გან,  
არამედ ცნოფელთა-შორისსა — გარეგანთა-განცა და მათ-შორის-  
თა ერთქლთა-გან, ერთისა ტომისა, შეზავებად. არამედ კუა-  
ლად, რომელნი სულის უსხეულყოფასა იტყოდეს, ურიცხუ იქმნა  
10 განყოფილებაჲ ამათი, რომელთა-მე უკუსტ არსებად და უკუდავად  
მის-თვს მთქმელთაჲ, ხოლო რომელთა-მე უს[ხე]ულად უკუსტ, არა-  
მედ არა არსებად, არცა უკუდავად. რამეთუ თალი, ნუკუსტ ზირველად  
მან სული თქუა სამარადისად-მიმდრეკად\* და თვთომიმდრეკად; არამედ  
ზითადორთს — რიცხუად თავით თვისით მიმდრეკად; ხოლო ჰლატონ —  
15 არსებად გონიერად თვს-გნით მიმდრეკად, ვითამცა რიცხუად ნაწე-  
ვართობარისად; ხოლო არისტოტელმან — ზირველ შემასრულებე-  
ლად ბუნებითთა | შესაქმებითთა სხეულთასა, ცხოვრებისა ძალად A42  
ოდენ მქნებულად; ხოლო დინარხოს — შესაწევრებად თითხო ასოთა-  
გან; შეზავების და შეერთების ნაცვლად ასოთაჲსა, რამეთუ, არა  
20 კომანთა-გან თქ[უ]მთა შედგომილად, არამედ შორის სხეულთაჲსა  
მკურვალისა და გრილისა და ნოტიოჲსა და კმელისა შესაწევრებულად  
და შეზავებულად და შეერთებულად ეკულებს თქუმად. არამედ უწ-  
ეებულ იყავნ, რამეთუ ამთავანნიცა რომელნი-მე სულისა არსებაყოფა-  
სა იტყუნ, ხოლო არისტოტელი და დინარხოს — უარსებო. არამედ  
25 კუალად ამათ-მიერვე ვთქუათ, ვითარმედ ერთი და იგი-ვე არსო სუ-  
ლი ყოვლისა, იაზრეს და თათუელად განჭრილად და კუალად თვსადგე

1 ფშუინვად A. | 2 კრატია A. | 3 ფილოსოფოსმან A. | \* არში-  
ახე შენიშვნა რექსტისავე წმინდა ხელით: „მიმდრეკად ძრვისა და მოძრა-  
ობისა ნაცვალად დაუტ ყოველგან ყოველსა-შინა სიერცესა ამის აწინ-  
დელისა წიგნისასა ელლადელთა კმისა-გან ქართველთა სიტყუად გარდ-  
მომწერელსა ამისსა იოვანეს პლატონურსა ფილოსოფოსსა“ A. | 16-17: ხო-  
ლო არისტოტელმან შემასრულებელად პირველ სხეულთაჲსა ბუნებით-  
თაჲსა შესაქმებითთაჲსა A. | 18, ოდეს A. | 26 თუითუელად A.

მიმქცევულად, ვითარ მანიქვევლთა და სხუათა ვიეთ-მე; ხოლო ვი-  
ეთ-მე მრავლად და გუარითა განყოფილად და რომელთა-მე ერთად  
და მრავლად. რამეთუ ყოველთა საჭირო არმზიარებულთაჲ სიტყუათს  
ესე სომთა თსებათა-მიერ წინააღმდეგობობაჲ ურთი-ერთას.

A43

5 საზოგადოდ და ერთბაშად მათ ყოველთა-მიმართ, რომელნი იტ-  
ყოდეს სულსა სხეულად, კმა იფუნენ ამონიოფს-მიერნი იგი თქუმულ-  
ნი, ზღოტინოფს მოძღურისა, და ნუმენიოფს-პითაღორეისანი. არიან  
ხოლო ესე, ვითარმედ\*: სხეული თჳსითა ბუნებითა მიმოქცევადი არს,  
დაფანჩვადი და ყოველითურთ ურიცხუად განჭრადი და არარაჲს შო-  
10 რის თჳსსა უცვლადებელისა დამტყვებელი; მოქენე არს უკუწ სხუასა  
შემადგინებელსა და შემკრებელსა და ვითარ რაჲ გარემომრთხმელსა  
და მშვრობელსა მისსა, რომელსა სულად ვიტყუთ. არამედ უკეთუ  
სხეულ რაჲ-მე არს სული, ანუთუ წულიადადი ჩაწლოანი, და კულად  
რაჲ არს გარეშემამტკიცებელ მისდა? ვითარ ესე იხუწნა, რამეთუ ყო-  
15 ველი სხეული მოქენე არს გარეშემკრებელისა, და ესრეთ აურაცხელ,  
ვიდრე-მე იზოფს მიწვევად ვიდრე უსხეულთსამდე. გინათუ, ვითარ  
იგი ატყუან სტოელნი, ტონებრივი | ვინაჲვე, რომელ არს ძლი ნა- A44  
სხმანთან, ვითარცა რაჲ მიდრეკაჲ სხეულთაჲ ძლითი შიგნი-გამო,  
გინა გარეგნით ერთბაშად მიმდრეკი, ვინაჲ უკუწ გარეთ სიდიდეთა  
20 და რომელთათა ადმსრულელებელი არს, ხოლო შიგნი-გამო შეერ-  
თებისა და არსებისა: — იკითხვებოდედ მათდა-მიმართ: ვინაჲთჳნ ყო-  
ველი მიდრეკაჲ რაჲსა-განვე არს ძლისა, ვინაჲ ანუ სადათ [არს]  
ძლი ესე და ვიეთ-შორის არსება [მისი] იქმნების? და, უკუწთუ  
ნივთსა ძლად იტყოდინ, კულად იგინივე ვიგზარნეთ სიტყუანი; და,  
25 თუ არა ნივთ არს, არამედ ნივთიერ (სხუა უკუწ იუფს ნივთიერი  
ნივთისა-გან, რამეთუ, რომელსა თან აქუნდეს ნივთისა, ნივთთა-შო-  
რისად ითქუმის), რომლისა-თჳსცა სხუაჲ რაჲ-მე ითქუმის თანამქო-  
ნებელი ნივთისაჲ? რაჲ უკუწ ნივთ და იგივე გინათუ უნივთო?

5 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | \* არშიაზე ტექსტისავე წმინდა  
ხელით: „ნილიე დარღუცვაჲ გულის-ხმიერი სულისა სხეულ ყოფ მთნე-  
ლობისა“ A. | 13, სხეულ-ქარს A. | 15, გრ-შე მქნბ-ლისა A. | 17, ხო-  
ებრივი A.



ვინაჲ, თუ ნამდვლ ნივთ, ვითარ ნივთიერ და არა ნივთ? არა-  
მედ, უკუწთუ არა ნივთ, უნივთო ვიდრე-მე; ხოლო, თუ უნივ-  
თო, არა ვიდრე-მე სხეულ, | რამეთუ ყოველი სხეული ნივთიერ. A  
[არამედ, უკუწთუ თქუან, ვითარმედ ყოველი სხეული სამთა. გან-  
5 სდგომელთა მიმთუაფველ არს და სული, ყოველითვე კმაყოფი  
და ყოველით-კერძო განმწითომი სხეულთა, სამად ვინაჲ-მე განმდგომა,  
და ამით დაამტკიცებენ სულისა სხეულყოფასა, — ჰქრქუჲ]\*, ვითარმედ,  
ყოველი სხეული სამად ვინაჲვე განსადგომელ, ხოლო არა ყოველი  
სამად განსადგომელი სხეულცა [არს]. რამეთუ ადგილი და რომელ-  
10 ბანი უსხეულთ არიან თვთ თავთა-შინა თვსთა, ხოლო შემთხუწვით  
სიზრქეთა-ძორის დარომელაფნდებიან; ესრეთვე უკუწ<sup>6</sup> და სულიცა  
თავსა-შორის თვსსა ვინაჲ-მე მდგომარე არს დაუდგომელად, არამედ  
შემთხუწვით სამად განდგომილსა ამას-შორის-თანავე იხილვების და  
იგიცა სამად განდგომილადვე ითქუმის, გარნა, ვითარ იგი ვთქუ,  
15 შემთხუწვით. შერმეცა, სხეული ყოველი ანუ გარეგანით მიდრეკების  
ანუ შიგნით; არამედ, უკუწთუ გარეგანით, უსულთ ვიდრე-მე იყოს,  
ხოლო თუ შიგნით—სულიერ; და ვინაჲვე კუალად, თუ ნამდვლ სხე-  
ულისა სული, თუ რად-მე გარეგანით მიდრეკების, უსულთ [არს], არა-  
მედ, თუ შიგნით, სულიერ; არამედ უკუწ<sup>7</sup> არს უსულთდცა და  
20 სულიერად თქუმაჲ სულისაჲ; რომლისა-თვსცა და ნამდვლვე არა ვი-  
დრე-მე სხეულ სული. | შერმეცა, თუ სული იზარდების, უსხეულთაჲსა- A  
შიერ იზარდების, რამეთუ სასწაფლანი ზრდიან მას; და ესე საცნაურ  
არს, ვითარმედ არა სხეული უსხეულთაჲსა-გან იზარდების; არა ვი-  
დრე-მე იყოს სხეულ სული. რამეთუ ქსენოკრატიმან ესე შესიტყუ-  
25 ვაჲ შეკრიბა: ვინაჲ, თუ ნამდვლ არ იზარდების სული, ყოველი უკუწ<sup>8</sup>  
სხეული ცხოველისაჲ იზარდების, — არა ვიდრე-მე სხეულ სული. და

1 ნამდული A. | \* მთელი ეს, სწორ ფრჩხილებში ჩასმული, ფრა-  
ზა ხელნაწერში არზიანება მოთავსებული, მაგრამ, როგორც აზრის მიმ-  
დინარეობა და რუსულ (=ბერძნულ) ტექსტთან შედარება გვიჩვენებს,  
იგი ტექსტისაა და ქართველ მთარგმნელს ან გადამწერს გამორჩენია და  
შემდეგ მიუწერია არზიანზე; უფრო გვიანდელს გადამწერს კი იგი შენიშ-  
ვნად მიუღია და თავში მიუწერია სიტყვა „დანიშნე“, რომელსაც ჩვენ  
ვრიცხავთ ტექსტიდან. | 10 თუით A. | 17 ნამდული A. | 19<sub>5</sub> რამეთუ A. |  
20 ნამდულივე A.



ესე უკუწ სწიაროდ უოველთა-მიმართ მეტუეწლთა, ვითარმედ სსე-  
 ული არსო სული. არამედ სსუაჲ საკუთრად მათდა-მიმართ, რომელ-  
 ნი ითნებდენ სისხლ, გინა საფუზნველ უოფასა სულისასა\*, ვინაჲთ-  
 გან საფუზნველისა, გინათუ სისხლისა განშორებითა მკუდარ ოქმების  
 5 ცხოველი; არამედ აწ [არა] ითქუმოდეს იგი, რომელ ვიეთ-მე ჰგო-  
 ნიეს, თუ არს რაჲ-მე მათ-მიერ დაწერილი, რამეთუ იტყოდეს: „ეს-  
 რეთ ვინაჲ უკუწ ნაწილი გამოჲდინოს სისხლისა, ნაწილივე-მე გა-  
 მოჲდინების სულისაჲ“. არამედ ცუდად მეტუეწლები|საჲ არს ესევი- A47  
 თარი ესე, რამეთუ მსგავსნაწილთა-ზედა და დარჩომილიცა. ნაწილი  
 10 იგივე არს უოველთა-შორის; რამეთუ წყალი დიდი და მცირე იგივე  
 არს და მსგავსადვე ოქროჲ და ვეცხლი და მუოფნი უოველნი ვიდრე-  
 ჰე ნაწილით არა შეიცვალეობან ურთი-ერთას არსებისა-ებრ: ეგრეთვე  
 დაშთომილიცა სისხლი რაჲზომევე სულ არს, ნამდვლ თუ რაღ-მე  
 სულ არს სისხლი. არამედ უფროჲს იგი სათქუმელ, რამეთუ: ვი-  
 15 ნაჲთგან ესე არს სულ და, გამოვიდეს რაჲ, მოკუდების ცხოველი,  
 ვინაჲ და ბაღდამიცა სულ იუოს და ორნივე ნაფელნი, რამეთუ,  
 რომელიცა ამათ-განი მოაკვდეს, ადსასრულსა მიუვლენს ცხორები  
 სასა. მერმეტა, ხოლო, დვდლი და ტუნი და გული და პირის-  
 მბრძოლი, რომელ არს სტომაქი, და თირკუემელნი და წელნი და სსუა-  
 20 ნი მრავალნი; რამეთუ, რაჲ უკუწ ამათ-განი რაჲვე განეუოს, არა-მე  
 მოკუდებისა ცხოველი? არამედ, კუალად, მრავალნი არიან უსისხლო A48  
 უკუწ სულიერ, ვითარ: სელაქნი და მალაქნი და სიპეანი, ტუეითინი  
 და ზემულნი და უოველნი კეტტუეგოანნი და ჩჩვლქეცნი, ვითარ კარა-  
 კინნი და ასთაკვნი, რომელნი არიან სულიერ, ხოლო უსისხლო; სს-  
 25 ცნურ უკუწ, ვითარ არა არს სული სისხლ. არამედ მათდა-მიმართ\*\*,  
 რომელნი იტყუან, ვითარმედ წყალ არს სული, რამეთუ წყალი უოვ-  
 ლისა მაცხოვრებელად ჩანს და თუნიერ წელისა ცხორებაჲ შეუძლე-

3 საფუთინველ A. | \* არზიაზე ტექსტისავე წმინდა ხელით წითე-  
 ლი მელნით: „აქა მათიჲ დანიშნე დაკსნაჲ, რომელნი იონებენ სისხლ  
 გინა საფუზნველ უოფასა სულისასა“ A. | 12 ურთიერთარს A. | 13 ნამ-  
 დულ A. | 18 ლუილი და ტუნი A. | \*\* არზიაზე: „აჲა დამარლუცველი  
 წყლად მთქუმელთა სულისათაჲ“ A. | 26, წყალი; ტექსტში სწერია  
 „წყლისა“. მაგრამ არზიაზე გასწორებულია „წყალი“ A.

ბელ არს, და ამათ-მიმართცა მრავალ არს წინაგანსაწყობელი; რამეთუ არცა თუ თჯნიერ საზრდელთაჲსა ცხორებად შესაძლებელ არს, სულად ვინაჲვე და საზრდელნიცა ყოველნი თითოეულად ითქუმადედ მათ-გან. მერმეცა, რამეთუ მრავალნი ცხოველთა-განნი არიან არა-  
 5 მსუმელ წყლისა, ვითარ რომელთა-მე ორბთა-თჯს დასახულ არს და კაკაბი თჯნიერ სუმისაცა შემძლებელ არს ცხორებად. ხოლო რამისა-თჯს უფროჲს წყალი ითქუას სულად და არა ჭყერი? რამეთუ წყლისა უკულ შესაძლებელ არს განყენებაჲ რაჲთ-ერთი, | ხოლო აღმოგებუნვე-  
 10 ლობისა-გან ჭყერისა არცა თუ მცირედ. არამედ არცაღა თუ ჭყერი არს სული\*: რამეთუ არიან მრავალნი ცხოველთა-განნი არააღმოგებუნველნი ჭყერ[ი]სა, ვითარ საშუაღვანუტრელნი ყოველნი, ვითარცა: ფუტკარნი და ბზიგნი და ჯინჭველნი და უსისხლო და მრავალნი ზღჯს-შორისნიცა და ყოველნი, რომელთა არა აქუს სასული, რამეთუ შეუძლებელ ფებუნგაჲ თჯნიერ სასულისა.

15 არამედ, ვინაჲთგან გლეხთოჲს სტოკელისა და ხურისიზოჲსნი მო[ი]ღებუიან სიტყუანი, რომელნი-მე არა აღვიღ შეურაცხის-საყოფელნი, ვინაჲვე დაჲდებოდედ და ამათნიცა დასაკსნელნი, ვითარ იგი დაჭკსნეს ზლატანურთა იფილქოფოქსთა. რამეთუ გლეხთოს ესევი-თარსა თხზავს შესიტყუვასა, ვითარმედ: „არა მხოლოდ, — იტყუს, —  
 20 მსგავს ვეჭმენით მშობელთა სხეულთა ამთ აგებულებითა, ვითარ რაჲ სიყვარულითა\*\*; ხოლო მსგავსებაჲ და არამსგავსებაჲ არა არს უკულ უსხეულოჲსად, — სხეულ ვიდრე-მე და სული“. არამედ, ზირველად, ვინაჲვე ნაწილობითით-გან საყოველთაოჲ [არა] აღიკაზმების, არამედ იქოს უსხეულოთაჲცა ურთი-ერთას უმსგავსობაჲ ტყუვილ: რამეთუ ვიტყუთ;  
 25 ვითარმედ რიცხუნი მსგავს არიან ურთი-ერთას, რომელთანი გულწრდნი შესაბამ იფუნენ, ვითარ ექუსი და ოცდაოთხი, რამეთუ გულწრდ ექუსისა — ორი და სამი, არამედ ოცდა ოთხისა — ოთხი და ექუსი; და ვითარ ორსაცა აქუს შესაბამი ოთხისა-მიმართ, ხოლო სამსა ექუსისა-

2. შეუძლებელ A. | 7. წყალითქს A. | \* არზიაზე: „დანიზნე ვითარმედ არცა ჭყერისა მოწვლ არს სულად თქუმად, ვითარ იგი არცა წყლისა“ A. | 12-13 ზღუის-შორისნიცა A. | 14 ფშუნგაჲ A. | \*\* არზიაზე: „ვითარ რაჲ ყლგნ ვითარ იგიობისა არს ნაცვალ“ A.

მიმართ, რამეთუ ორკეცობისა სიტყვას-მიმართ იხილვების, რამეთუ  
 ოთხი ორისა-გან ორკეცად და ექუსი — სამისა; უსხეულთ ვინაჲვე და  
 რიცხუნიცა, ვითარ ესე აწ აღმოვანინეთ. არამედ მსგავს არიან ნა-  
 კუჭთნიცა ნაკუჭთათა, რადღენთა უერენი ჰქონან სწორნი და სწორთა  
 5 უერეთა შესაბამადვე გუჭრდნი, — რამეთუ ნაკუჭთნიცა უსხეულთ A51  
 არიან. მერმეცა ვითარ რამზომობისა-თჳს არს სწორი და უსწორი,  
 ეგრეთვე და რომელობისა — მსგავსი და არამსგავსი; რამეთუ რომელობ-  
 ბაჲცა უსხეულთ, და იყოს უსხეულთ უსხეულთაჲს მსგავს. მერმე-  
 ცა იტყვს, ვითარმედ: „არა რამ უსხეულთ თანაფნებს სხეულსა და  
 10 არცა ვინაჲ უსხეულთაჲს — სხეული; ხოლო თანაფნებს სული სხეულსა  
 სნებოანსა და დაჭრადსა და სხეული — სულსა, რამეთუ, სირცხველთ  
 იქმნეს რამ სული, ძოწეულ იქმნების სხეული, და, შეშინდეს რამ,  
 უფერულ; სხეულ ვიდრე-მე სული“. რამეთუ არს ჰირველი\* დაუფლ-  
 ვით-მიღებულთაჲ ტუილ, ერთქმნილი ჰირველმდებართაჲ, ესრეთ  
 15 მეტყუელნი, ვითარმედ: „არა ვინაჲ უსხეულთ თანაფნებს სხეულთა“.  
 რამ უგუჭ კითხვებოდედ, რამეთუ მხოლოდ სულისად ოდენ არს  
 ესე? ვითარ ვინ თქვას ესრეთ, ვითარმედ: „არარამ | ცხოველთა- A52  
 განი დრეკს ზედათა ყბათა, — არამედ ხუთქი ზედათა ყბათა დრეკს, —  
 არა ვინაჲ იყოს ცხოველ კრთოდლილომ-ხუთქინა“.  
 20 ვინაჲვე არს ჰირველ-დაწესებული და აქაცა მეტრ ჰირველმდებისა,  
 რომელი იტყვდა ესრეთ, ვითარმედ „არა რამ ცხოველთაჲ იდრეკს  
 ზედათა ყბათა, რამეთუ აჴა ხუთქი ცხოველცა და მდრეკელ ზედათა  
 ყბათა“. ხოლო ამისდავე სახედ და რაჴამს იტყოდის, ვითარმედ „არა  
 რომელი უსხეულთ თანაფნებს სხეულთა“, რამეთუ უსწრობს სძაიე-  
 25 ბელთა უკუნთქუმითა. არამედ თუ ვინ დადვას, ვითარმედ ჴემან-  
 რიტ არს არა რომლისა უსხეულთაჲს სხეულთა თანაფნებად, არამედ  
 ზედადუფანებული არა არს აღსარებული, რომელი იტყვს, ვითარმედ  
 „თანაფნებს სული სნებოანსა და დაჭრასა სხეულისასა“, რამეთუ

11 სირცხულელ A. | \* ამ სიტყვის ნაცვლად A-ში სწერია „მეო-  
 რე“, რაც აშკარა შეცდომაჲ, როგორც სჩანს, თვით ბერძნულითავე ტექ-  
 სტისა. შეად. რუსული თარგმანი, ვვ. 45, შენიშვნა მე-29; და თვით  
 ტექსტისა სტრიქონები 2—3 ბოლოდან. | 18 ხუთქი A. | 22 ხუთქი A.

[ი]ჭნეულების, თუ რად-მე მართოდ სხეული იყო, ოდეს რაღა იღ-  
მდა და მიიღო სულისა-თჳს გრძნობაჲ, ხოლო იგი ეგო უგნებე-  
ლად, ანუთუ თანაივნო სხეულსა; არამედ | უფროჲს ხოლო დაიპურო- A53  
ბვის უფრო სათანადოთა-გან პირველი; რამეთუ არა ჯერარს იჭუნე-

5 ულთა-გან შესიტყუებათა შეკრებად აღსარებულთა-გან; რამეთუ ნამეტ-  
ნაგისა-გან იხუჭრებთან და რომელნი-მე უსხეულოთანი თანაგნებად  
სხეულთაჲს: რამეთუ უსხეულო რომელობანიცა და ესენივე ვნებულ-  
თა სხეულთა-თანა ივნებენ, ხრწნილებასა-შორის და ქმნადობასა თანა-  
მელმქენი სხეულთანი.

10 ხოლო ხურისიზზოს იტყვს: „სიკუდილი არს განყოფაჲ სულის  
სხეულთა-გან; ხოლო არარაჲ უსხეულოჲ სხეულთა-გან განყოფვის,  
რამეთუ არცა რაღა უკუჭ ზედმეკეების და განყოფვის სხეულთა,  
— არა ვიდრე-მე უსხეულთა სული. არამედ ამისი ესრეთ თქუმაჲ, ვი-  
თარმედ სიკუდილი არს განყოფაჲ სულისაჲ, ჭეშმარიტ; ხოლო სა-

15 ყოელთოდ ამის თქუმაჲ, ვითარმედ არ ზედმეკეების უსხეულოჲ  
სხეულსა, ტყუილ უკუჭ არს საყოელთოდ თქუმილი; არამედ სუ-  
ლისა-თჳს — ჭეშმარიტ, ვითარმედ არ ზედმეკეების | სული სხეულ- A54  
თა; ხოლო სხუათა რათავე უსხეულოთა-თჳს არა ჭეშმარიტ, ვითარ  
რაღა: ველის-ზედაჲ და წირი უსხეულო და ზედმეკეების სხეულსა და

20 განყოფვის, და ამათდავე მსგავსად თქ[თ]რობაჲცა\* და სხუანი ფერ-  
ნი; ხოლო სულისა-თჳს ჭეშმარიტ, რამეთუ არა ზედმეკეების სხე-  
ულსა სული. არამედ და აწ ვინამევე და რომელობაჲ ზედმეკეებელი-  
განყოფს რაღა სხეულსა გარომელოვნებული სხეული რაღა, არამედ  
უკუჭთუ რომელობაჲ შემძლებელ არს სხეულთა შეხებადცა და გან-

25 ყოფად უსხეულობისა-თჳს, ხოლო სული არა, ეკითხვებოდედ გუალად;  
არამედ, უკუჭთუ ზედმეკეების, ცხად არს, ვითარმედ ზედმიდებულა  
მისდა; და თუ არს ესრეთ, რომელ ყოფლად არა ზედმიდებულ იყოს,  
ესრეთ იყოს ჭეშმარიტ. არამედ არცა სული და არცა რომელობანი

12 სხეულთაჲ A. | 13 უსხეულოჲ A. | \* ამ სიტყვის პირველი ასო-  
სათვის A-ში სხვა მელნით ფხუა მიუბამთ, რის გამოც ეს სიტყვა ზელ-  
ნაწერში იკითხება „ფერობაჲცა“-დ; მაგრამ კონტრექსტისა და რუსული  
თარგმანის მიხედვით აქ უნდა იკითხებოდეს „თეთრობაჲცა“.



სხეულ, რამეთუ შეუძლებელა სხეელისად სხეული ეოვლად უოვლით-  
 ურთ ზედმიდებად; და ესრეთ არ იუთს ვინაჲ-მე სუელიერ | ცხოველი. A 55  
 არამედ არა ეგრე: რამეთუ არცა რომელითაჲ სხეულ იუთს ამისთვის,  
 რომელ ზედშეკების სხეულსა, არამედ რომელითაჲ არს უსხეულთ  
 5 და ზედშეკებულ სხეულთა. აჭასერა თვით სოქეუნ წირი და რომე-  
 ლობანი ზედშეკებად და განშორებად სხეულსა, და თვით თავთა-შო-  
 რის თვსთა უსხეულთ მყოფად, რომლისა-თვისცა შესაძლებელ არს  
 უსხეულთაჲსა ზედშეკებად სხეულსა, ვითარ შეუნის უსხეულთა; არა-  
 მედ აწ ვინაჲთაჲსა ზედშეკების, სხეულ ვინაჲ-მე იუთს სული, და  
 10 ეოვლად არა ვინაჲ-მე იუთს სულიერ ცხოველი; არამედ თუ კინ-  
 დენცა არს სულიერ ცხოველი, არცა ზედშეკების და არცა სხეულ  
 არს სული, რომლისა-თვისცა ცხოველი ეოვლით-ურთ სულ არს, არ-  
 ცა უკუნ ზედშეკების და არცა სხეული არს და განუენების უსხეუ-  
 ლობისა-თვის თვისისა. რამეთუ არა არს სული სხეულ, [ესე] სცნურ  
 15 თქუმელთა-გან; არამედ, რომელ არცა | უარსებო [არს], შემდგომთა- A 56  
 შორის ისიტუელბოდელ.

ხოლო, ვინაჲთაჲსა დინარხოს მორთულობად\* განასწავლერა სუ-  
 ლი და სიეკა, აცილობდა რაჲ სოკრატს, სულისა თქუა მორთულო-  
 ბაჲ, ესრეთ მთქუმელმან, ვითარმედ: „შეჭკვანან უკუნ სულისად  
 20 მორთულობანი, ხოლო სხეულთად — ძლნი“\*\*, — არამედ ამისთა დასაკ-  
 სნელთა გარდამტემელნი, „იკოდონსა“ შორის ზღატონისსა მდებარე-  
 თა-გან, [ვიტუოდეთ] ესრეთ, ვითარმედ ერთი არს აწ ესე პირველ  
 აღმოჩინებულთა მისთა-გან, ვითარმედ: პირველვე აღმოჩინებულა,  
 რომელ არიან სასწავლთნი ადკსენება. ესე უკუნ დადვა ვითარ პირ-  
 25 ველადსარებული, და ჭკაზმავს სიტუკუსა ესრეთ, ვითარმედ: ვინაჲთ-  
 გან სასწავლთნი პირველთა სასკსენებულ არიან, იუთ ვინაჲ-მე და სუ-  
 ლიცა ჩენი[ლ] პირველ\*\*\* კაცისა გუართან ქმნისა; ხოლო თუ მორ-  
 თულობა არს სული, ვინაჲვე არა იუთ, არამედ შემდგომადღა იქმნა

5, თუთ A. | \* ამ სიტყვის ხელნაწერი A ზოგან ქარაგმითა სწერს, ზოგან ქარაგმაგახსნით: ხან „მორთულობად“, ხანაც „მორთულებად“. ჩვენს გამოცემაში ორივე მართლწერა დაცულია. რუსულ თარგმანში ამ სიტყვის შესაბამად ნახმარია „პარმონია“. | \*\* ე. ი. ჩანგის სიმები. | \*\*\* ეს და ამის წინა სიტყვა A-ში ერთმანეთზე გადაბმულია ასე: „ჩნივლ“.



მორთულებითა სხეულისადათ. ხალხ ყოველი შემდგომულობა | სხეულბ 57  
 უღანო არს ქმნად, თჯიერ ვითარ იგი ზირველ ჭქონდის, რა-  
 მელთა-გან იგი შედგომულა; რამეთუ ზიარებად ვინადავე არს შედგომულ-  
 თა, ვინადაგან მორთულება[დ] შედგომულება, და არაფინად დაცადებს  
 5 არა ნებებად მასვე, ვითარ იგი არს და რამელთა-გან იგი შედგომულ-  
 ლა, არამედ შეუდგს მას. ხალხ ებრძვის უკუშ მათი სიტყუაჲ, რა-  
 მელნი სულს მორთულობად იტყუან, მათ, რომელნი სსწავლობათ  
 ადკსენებად იტყუადნი. არამედ მათი, რომელნი სსწავლობათ ადკსე-  
 ნებად იტყუან, ჭეშმარიტ არს, — მტყუარ ვიდრე-მე [არინ] სულისა  
 10 შენაწევრებად მთქუმელნი\*. მერმეტა უკუშ და სული წინააღმდეგობ  
 არს სხეულისა და მთავრობისა და აქუს ჯერინებად, ვითარმედ მთავარ  
 მისდა არს; ხალხ მორთულებად არცა ჭმთავრობს და არცა წინა-  
 ადუდგების; არა ვიდრე-მე არს მორთულება სული\*\*. მერმეტა და,  
 ვინადაგან სული წინააღმდეგობათა ნაწილობით მითქულადავს, არსება 58  
 15 ვიდრე-მე არს და წინააღმდეგობა შემთხუწვადათ-თჯს, ხალხ მორთუ-  
 ლობაჲ — რომელობაჲ და შემთხუწვა; არამედ არსებაჲ რომელობის-  
 გან სხუა: სხუა უკუშ და სულიცა მორთულობისა-გან. ხალხ ზიარ-

2<sub>3</sub>-: ქონებად თუნიერ A; 2<sub>3</sub> ჭქონდის + მათ A.

\* არ შიანზე ტექსტისავე წმინდა ხელით: „ერთი და იგივე არს მორ-  
 თულობაჲ და შენაწევრებაჲ“. სიტყვით „მორთულობაჲ“-თ აქ გადმო-  
 ცემულია ცნება „ჰარმონია“.

\*\* აქ რუსული (==ბერძნული) ტექსტი უმატებს თოთხმეტითდ სტრი-  
 ქონს, რომელიც ქართულ თარგმანში არ მოიპოვება. მოკლეთ მათი ში-  
 ნარსი ასეთია:

ჰარმონია, სხვა ჰარმონიასთან შედარებით, შეიძლება იქმნეს უმე-  
 ტესათ და უმცირესათ ჰარმონია; სული კი არ შეიძლება იქმნეს უმეტე-  
 სათ ან უმცირესათ სული. მაშასადამე, სული არაა ჰარმონია. ამასთანავე  
 სული შეიცავს თვის ზორის როგორც სათნობას, ისე ბიწიერებას; ჰარ-  
 მონია კი არ შეიცავს ჰარმონიასა და რასმე არაჰარმონიულს. მაშასა-  
 დამე, სული არ არის ჰარმონია. იხ. რუს. თარგმნ., გვ. 48—49.

შეიძლება ეს ადგილი ქართველ მთარგმნელს გამორჩენოდეს, ან  
 თვით იმ ბერძნულ დედანშიაც არ ყოფილიყოს, რომლითაც ქართველ  
 მთარგმნელს უსარგებლნია. ხელნაწერში (A) კი აქ ტექსტი გადაბმით  
 მიჰყვება და არსაიდან არა ხჩანს, რომ მის უძველეს დედანს ამ ადგილას  
 ჭკლებოდეს რამე.

რებად ვიდრე-მე მორთულობისად სული არა უფრო თქუმად, არამედ არა ამის მიზნისა-თჳს და სულიცა მორთულობა იყოს: რამეთუ არცა ამისთჳს, რომელ სათნოებას ეზიარების, სათნოება იყოს სული.

ხოლო ღაღინის სულისა-თჳს უკუტ არას განაჩინებს, არამედ და წამებსცა „კმასყოფელთა-შორის სიტყუათა“, ვითარმედ არა რაჲ არს სულისა-თჳს განჩინებულ სიტყუაჲ; ხოლო ჰკავს, რომელთა-გან იტყვს, ვითარმედ შეზავებაჲ არს სული, და ამისდა უკანამიდევნებად ჩუტულებათა განყოფილებას; და ესე ვითარად განჰკანაშკანებს სიტყუას...\*  
10 იტყუნეულობს, არა ხოლო სულსა ეოფელსა კაცისას, არამედ | უტ- A59  
უუსა ოდენ, რომელ იგი კაცსაცა-შორის იხილავების; ხოლო სიტყუარისა-თჳს იტყუნეულობს, მთქუმელი ესრეთ, ვითარმედ...\*\*

შუქდებულა, რათამცა სხეულთა შეზავება იყო სული, ვინამდე ამიერიტგან იუწყებოდედ, ვითარმედ ყოველი სულიერი და უსულომ  
15 სხეული ოთხთა-გან შეზავებულა ასოთა, რამეთუ ამათი შეზავებაჲ სხეულთა აღიქვამს. და აწ, თუ შეზავებულა არს სული, არარაჲ იყოს უსულო; და შეკრების სიტყუაჲ ესრეთ: თუ რად-მე სულ არს შე-  
ზავებაჲ სხეულთაჲ, არამედ ეოფელსა სხეულსა აქუს შეზავებაჲ, ეო-  
გელსა სხეულსა სულიცა ვიდრე-მე აქუნდეს და არა რომელი სხეული  
20 იყოს უსულომ: არცა უკუტ ქვამ და არცა შემამ, არცა რკინამ და არცა სხუამ რომელი-მე უსულო იყოს. ხოლო თუ რად-მე არა სა-  
ეოფელთათს და ეოფელსა შეზავებულებას იტყვს სულ ეოფად, არ-  
მედ ეკევითარსა რას-მე, ეკითხვებოდედ უკუტ, თუ: ვითარი-მე | შე- A60  
ზავებულებამ არს სულ, რომელი შეიქმს სხეულსა და სულისა მი-  
25 ითუაფავს საზღვარს? რამეთუ, რომელიცა თქუას შეზავებულებამ,  
და ეკევითარივე გზოთ და უსულოთაცა-შორის; რამეთუ, ვითარცა

\* აქ ქართულ ტექსტს რამოდენიმე სიტყვა აკლია; რუსულ თარგმანში (გვ. 49, სტრიქ. 20) აქ სწერია: „на основании сказаннаго Гиппократомъ“. | 15 შეზავება A. | \*\* აქ ქართული ტექსტი, ხელნაწერებში, გაბმულათ მიდის. მაგრამ, როგორც რუსული თარგმანი უჩვენებს (გვ. 49, შენიშვნა 48) და აზრთა მსგელობიდანაც სჩანს, აქ თვით ბერძნულ დედანსავე ჰკლებია ღალინოსის ზემო-აღნიშნულ თხზულებიდან ამოსალები სიტყვები. | 13 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ.

თუ მან ცხრა სხე ყოფიდა შესავებულებათა „შესავებულებათა  
 წიგნსა“ შინა გამოსახინა, რათა უკუღმე დხელშესავებულად იტყვს, ხო-  
 ლო მეცხრეს კეთილშესავებულად; და ამის მეცხრისა-გან იტყვს  
 კაცსა კეთილშესავებულად; და ამის კეთილშესავებულებისა ქანებისა  
 5 არა საუფელთაოდ, არამედ მათ-თუზ ოდენ, რომელთა საშუალო ოდენ  
 აქუნდეს შესავებულებამ, ხოლო სხუათა ცხრველთა დხელშესავებუ-  
 ლად თითო გუარებით. რამეთუ უფველთა-შორის უმეტეს და უმცი-  
 რეს ღებნით და დართვით იზებინა და უსულთა-შორის ცხრანი  
 ესე შესავებულებანი უფრომსობასა-შორის და უმცროსობასა, ვითარ  
 10 თუ მანვე წიგნსა მას-შინა, „მარტივთა-თუზ“ სახელდებულსა, აჩუღ-  
 ნა. | შერმეცა, თუ შესავებულება არს სული, არამედ შესავებულება- A6  
 ნი იქცევიან მსგავსად ჭსაკათასა და ჟამთა და ქცევათასა, და სულიცა  
 ვიდრე-მე ამათთანავე იცვალეობდის; ხოლო, ვინაჲთგან სამარადი-  
 სოდ იცვალეობის, და არა და იგივე გუაქუს სული, არამედ, შესავე-  
 15 ბულებათა-ებრ, ოდეს-მე ლომისა და ოდეს-მე ცხურისა და ოდეს-მე  
 სხუსა რომლისა-მე, — რომელ უჯერო არს. შერმეცა, რამეთუ შესა-  
 ვებულებამ არა წინააღუდგების გულის-თქუმათა სხეულისთა, არამედ  
 და შეწვევისცა, რამეთუ თუ შესავებულებამ მისდრეკს გულის-  
 თქუმად, — ხოლო სული წინააღუდგების, — არა ვიდრე-მე შესავებუ-  
 20 ლება სული. შერმეცა, თუ რად-მე შესავებულება არს სული, არამედ  
 შესავებულებამ — რომელთა, ხოლო რომელთა იქმების და გარ-  
 დაიქმების თხიერ წინამდებარისა განხრწნისა, — და სულიცა უკუ-  
 განშორის თხიერ წინამდებარისა განხრწნისა; არამედ ესე — არა ჭე-  
 შმარტი; | არა ვიდრე-მე შესავებულებამ და არცა რომელთა არს. A6  
 25 სული. არამედ არცა თუ შერმეცა კერძი წინააღმდგომთამ ბუნებით  
 აქუს ბუნებად ცხრველსა, ვითარ რამ იგი ცეცხლსა-ზედა მკურნა-  
 ლებამ იხილვების; რამეთუ შეუცვალეებელსა ესე სხუად, ხოლო შე-  
 ცვალეებულად ჩანს შესავებულებამ; არამედ უფრომს ხოლო, თუ

1. + და A. | 16 სხუესა რისმე A. | 13 შეიწვევის-ცა A. |  
 22 „განხრწნისა“; ეს სიტყვა ხელნაწერში არზიანზე ტექსტისავე ხელით  
 მიწერილი. ჩვენ ტექსტში შემოგვაქვს (შეად. რუსული თარგმ., გვ. 51,  
 სტრ. 12). | 26 ცხოველისა A.

რამეთუ უფველნი [ბერძენნი] ზიარ ურთი-ერთას, სულელთა უკუდა-  
 ვად აღმომხენი, სულთ-ცვალებისა ქადაგ არიან, [არამედ] განიყოფიან  
 უკუ<sup>ლ</sup> გუართა-თჳს სულისთა: რამეთუ რამელნი-მე იტყუან, ვითარმედ  
 ერთი არს სიტყუერები გუარი, და ესე უკუ<sup>ლ</sup> ნერგთადცა და უტუუ-  
 5 თა ცხოველთად შეიცვალების; და ამას რამელნი-მე რამზომთა-მე  
 განხენილთა უამის-მოქცევათა-შინა, ხოლო რამელნი-მე მართლ დაზ-  
 თხუ<sup>ლ</sup> ვით; არამედ სხუანი არა ერთსა გუარსა სულთასა, არამედ რ-  
 ს—სიტყუერსა და უტუუსა; და ვიეთნი-მე უკუ<sup>ლ</sup> მრავალთა და რა-  
 დენთაცა ცხოველთანი | არიან გუარნი. უფროჲს ხოლო და ჰლატ-  
 10 ნის-განნი ამის თნებისა იქმნეს აღმრჩეველ, მთქუმელისა უკუ<sup>ლ</sup> ჰლა-  
 ტანის-მიერ ესრეთ: გულის-წყურებითა და მწყურებითა და მტაცე-  
 ბლობითთა სულთა მგელთა და ლობთა სხეულობისა თანშემოსად,  
 ხოლო, რამელნი სიძვის-გან ძლეულ იუენ[ენ], კარულთა და ესე-  
 ვითართა სხუათასა მიიღებენ სხეულთა; ხოლო ესრეთ მქუმელნი ესე  
 15 რამელთა-მე თჳთ სკუთრებით მგელთა და ლობთა-შორის მყოფო-  
 ბისა-თჳს სულთაჲს მიიხუნეს, ხოლო რამელთა-მე შეცვალებით და  
 მსგავსებისა-თჳს მათისა მქუმელი იუწყეს, ამისთჳს რამელ ჩუ<sup>ლ</sup> ულე-  
 ხაჲ და ქცევაჲ რა-მე მსგავსი ამითი ცხოველთა-მიერ იჩუ<sup>ლ</sup> ნებოდა.  
 არამედ კრთოს წიგნსა მას-შორის „გუალად-ქმნადობისასა“, — ესრეთ  
 20 უწიდა თან-მესხეულობასა, — ეგულები უფველთა სიტყუერებად მქუ-  
 მაჲ. და მსგავსადგე თეოდორეს ჰლატანურსა თავსა მას-შინა, რ-  
 მელსა იტყეს, ვითარმედ „სული უფველგუარ | არსო“, და ესრეთვე  
 ჰორთერი. ხოლო იამვლინისმან წინააღმდეგობი ამითს ვლო, რამე-  
 თუ გუართა-ებრ ცხოველთასა სულისა გუარსა იტყეს უფთად, ვითარ  
 25 რაჲ გუარნი მრავალნი და ურთი-ერთას განყოფილნი; რამეთუ წე-  
 რილ არს მხოლო წიგნად მის-მიერ ზედწარწერილსა, ვითარმედ  
 არათუ კაცთა-განი უტუუთა ცხოველთად, და არცა ცხოველთა უტუუ-  
 თა-გან კაცთად თანმესხეულობანი იქმნებიან, არამედ ცხოველთა-გან  
 ცხოველთად და კაცთა-გან კაცთად. და ვინაჲვე და მეტა მეთნების  
 30 ესე ამით ჰირთა-თჳს უმჯობესისა მიწეწილად, რამეთუ არათუ ჰარ-  
 ტოდ ჰლატანის უწეებისად, არამედ თჳთ მის ჰეშმარიტებისად,

A84

A85

1 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ; 1, რთა A. | 2 სხეულთ-ცვალებისა A.



რომლისაჲ შესაძლებელა და სხუათა უმრავლესთაგან ჩუწნებად, უფროდ სოფლ ამისგან, რომელ: არა რ[ომელ]თაჲ ჩანს სიტყვებრივთა მადრეკათაგანი უტუეთაშორის ცხოველთა, რამეთუ არცა კელაფინი, არცა სწავლულებანი, არცა განზრახვანი, არცა სათნობანი, არცა სხუანი რამე მიმოცნობითნი ყოფად მათშორის; A86

რომელთაგან საცნაურ არს, რომელ არაჲ აქუს სიტყვებისა სულისა ზიარებაჲ მათ, და რამეთუ უჯერო არს, თუშტა უტუე სიტყვად ისიტუებოდა. დაღათუ და განსთქუამს ჩიჯლათა-თჳს, ვითარმედ უტუე მხოლოდ მადრეკაჲ მიექმნების მათ, ვინაჲცა სულისა

10 სიტყვებისა ქონებად ვიტუეთ მათ-თჳს, ვინაჲთგან უკუწ მოზარდნი სიტყვებრებითისა ცხად ჰყოფენ მოქმედებასა, არამედ უტუე არა რომელითა ჰსაკითა საჩინო ჰყოფს სიტყვებრებასა, ნამეტნავ ვინაჲგუ ჰქონდის სიტყვებრებითი სული ყოფლით-ურთ უკმარ ქმნად სიტყვებრებითისა ძლისად. არამედ ესე, რომელ არცა ერთი რაჲ ღმრთისა-მიერ

15 უსაქმოდ და ნამეტნავად ქმნულ არს, ყოველთა-მიერ აღსარებულ არს. ვინაჲგუ და თუ ესე ნამეტნავად და უქმად სული სიტყვებრებით უტუეთა ნადირთა თანშეეკრვოდა; არაოდეს შემძლებელი ჩუწნებად საქმეთა თჳსთად, — იჲს ვინაჲგუ ბრალ მომცემელისა მოუზაგებელისა სულისა A87

სხეულთად. [არამედ] ესე არცა კელაფინისა არს საქმე და არცა მისი,

20 რომელმან წესი, გინა მამრთველობაჲ უწყოდის. სოფლ თუ ვინ თქუას მადრეკაჲ უკუწ ცხოველთაჲ სიმარჯჳთა სიტყვებრებისაჲთა, არამედ აგებულებისა მათისა უმარჯუ ყოფაჲ კელაფინებითთა საქმეთა-მიმართ, საწმუნომქმნელმან სიტუესამან კაცთა-მიერ, რომელნი მხოლოდ კელისა თითთა ოდენ მიხუმისა-გან. უმრავლესთა კელაფინებთა

25 წარსწემედენ, — არამედ სიტუეჲჲ ესე არა დაჰკსნის საძიებელსა: ჰგოეს უკუწ მასგე უჯერობასა-სკდა, ვითარცა ღმრთისა-თჳს უსამართლოებისა მწამებელი, რომელმან არ მზავებელი სელი. შენაწევრა[ო]. სხეულთა, არამედ უსაქმოჲ და უკმარი და მეტი და დაუენებული ყოველთაშორის ჰსაკითა მოქმედებთა მისთა-გან; და ამასგე-თანა [სეჰგველ და

30 წინადმდგომ არს], რომელ სიტუესას მათ-თჳს ჰკაცმიდეს. [ჴუმარიტად: სადაჲთ შემძლებელ ვართ ცნობად, ვითარმედ შედგომილ არიან]

15, — თქმლრს A; ვასწორებთ რუსული (=ბერძნული) ტექსტის მიხედვით. | 18, მოუზაგებულსა A. | 19, რამეთუ A.



იგინივე არიან, რომელნი სმკურნალობთა და კელთვებითა შესავებუ-  
 ლებასა სხუებრ სტვალებენ. მერმეცა, რამეთუ ეფლისა სხუელისა  
 რომელთანი გრძობადნი არიან, ხელთ სული დაღათუ აგრძობს  
 5 რასავე, ვინაღვე გრძობითს აგრძობს, — არა ვიდრე-მე რომელთამ  
 სხუელთამ სული. მერმეცა: [სისხლისა და] ფუჭნვისა და ერთგან შემ-  
 ტკიცებითა გორცთა და ძარღუთა და სხუათა ასოთადა კეთილ-  
 შესავებულებამ ძღვ არს, — და კუალად ვინაღვე მკურნალებათა და  
 სიგრილეთა და სიკუელეთა და ნოტიოთა კეთილშესავებულებამ | სი- A63  
 მრთელე არს, — ხელთ სწორსაზომობამ ასოთამ კეთილფეროვნება-  
 10 სავე-თანა შესწნიერებასა და სიკეთესა შეიქმს სხუელთასა. ხელთ თუ  
 რად-მე მორთულობამ სიმრთელისა და ძლისამ და სიკეთისა და შესწ-  
 ნიერებისამ [სულ არს], საჭირო ვიდრე-მე არს, ოდეს რამ კაცი ცოცხალ  
 იყოს, არცა დასნეულებად და არცა უძლეურებად და არცა უშუშრ ეფიად;  
 ხელთ შეემთხუწვის ესე მრავალგზის, არა მხოლოდ ერთისა, არა-  
 15 მედ სამთავვე ამათ კეთილშესავებულებათა წარწემუდად და სიცოცხლედ  
 კაცისა; რამეთუ შეემთხუწვის მასვე ერთამად უშუშროფიად და უძ-  
 ლეურებად და სხუელებამ, — და არა ვიდრე-მე არს კეთილშესავებუ-  
 ლებამ სხუელთამ სულ. ვითარმედ უკუტ ბუნებითნი ვინანი-მე სიჭა-  
 ვანი და სათნოებანი კაცთა შეუდგებიან? ესე ჭეშმარიტ არს, რამეთუ  
 20 სხუელთა შესავებისა-გან იქმნებიან ესე, რამეთუ მოჰკადებიან ბუნე-  
 ბით მრთელთანი და სხებთანი შესავებულებისა-გან, და ესრეთ A64  
 ვითანი-მე ესე ბუნებით მწარანავღუფიანნი მრისხანნი არიან, სხუანი  
 — ჯაბანნი, სხუანი — დამოქონი: არამედ რომელნი-მე იპურობენ და  
 მძლე ექმნებიან; საცნაურ უკუტ, ვითარმედ შესავებულებასა იპურო-  
 25 ბენ, რამეთუ სხუამ არს მჰყრობელი და სხუამ არს ჰყრობელი, —  
 სხუა ვიდრე-მე შესავებულებას[და] და სხუა სული.

რამეთუ ორდანი არს სხუელი სულისამ: უკუტთუ რად-მე მარ-  
 ჯუედ შეიმზადოს, შეეწკვის სულსა და აქუს იგი მარჯუედ; არამედ,  
 უკუტთუ არა მარჯუტ იყოს, აყენებს და მაშინ ვინაღვე საკმარა სული-  
 30 სა-თჯს საქმით მბრძოლობამ უმარჯობისა-მიმართ ორდანილთასა, და,

51-8 უსხულოდ სული მერმეცა თუ რადმე ფუჭნით A. | 6 შემ-  
 ტკიცებითი; სხუათამ ასოთამ და A. | 9-10 კეთილფეროვნებასავე-თა-  
 ნა A. | 20-21 ბონებით A. | 23, ჯალინნი A. | 27 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ  
 ვიწყებთ. | 27-28 მარჯუტ A.

თუ არა ფრიად განიფრთხოს, დაიქცევის მის-თანავე, ვითარ რამ მუსიკელი თანმცოდნეულა ძალისა გარდაქცევასა, ვიდრემდის იგი არა მტკრთოს კეთილად. რომლისა-თვსცა საკმარა სულისადა ზრუნვამ სხეულთამ, რათა შექმნადონ ორდანოდ მარჯუედ | თვსად. ამას უკუღ A65

5 წარმართებს სწავლულებათა-მიერ და ხუჭულებათა კეთილთა, და ვითარ რამ მორთულთასა-შორის სამუსიკოთასა რომელსა-მე მტკუღ ქუოფენ, ხოლო რომელსა-მე მსხირზანე, რათა, ვითარცა მას მტუხ-დებოდის, შეიმზადონ და იკმარონ მარჯუედ ორდანოდ შესაქმე თვისი, რათა არა და იგიცა მასვე-თანა გარდაიქცეს, — რამეთუ, თუ არა  
10 განეკრძალონ, და ესეცა შეემთხუეს მას.

ხოლო არისტოტელი სულის „შემასრულებელად“ იტყოდის რამ\*, რამეთუ უდარე დაერთვის მათ, რომელნი რომელთად იტყვან მას. არამედ ზირველად განვაცხადოთ, თუ „შემასრულებელად“ რომელთა უწოდეს. რამეთუ არსებასა სხად იტყვს: ზირველად იტყვს  
15 ნივთსა წინამდებარესა, რომელი თვთ თავით თვისით არა არს, ხოლო აქუს ძალი შექმნისა-მიმართ; და კუალად, მეორედ, გუარსა, რომელი-თა გუართან იქმნების ნივთი; ხოლო მესამედ—ერთა-გან ნივთისა და გუარისა ქმნილსა, | რომელ არს სულიერი. არს უკუღ ნივთი. A66  
ძალ, ხოლო გუარი — „შემასრულებელ“; და ესე უკუღ ორსახედ ვი-  
20 დრე-მე ზედმიწევნულებად, რამეთუ რომელი-მე ვითარ რამ მხედ-ვარობამ ზედმიწევნულებით და კუალად ვითარ რამ სიუყარული, არამედ „შემასრულებელ“ ვითარ მოქმედებამ სიუყარულისამ; არამედ ზედმიწევნულებამ უკუღ მეოფობასა-შორის სულისასა იხილვების; და ამათდავე შესაბამად ძილიცა და მღვძარებამ, რამეთუ მღვძარებამ  
25 მხედვარობამ არს, ხოლო ძილი ძალად ქმნებამ მხედვარობისამ და [არა] მოქმედებამ. ეგრეთვე ზირველ უკუღ არს ზედ-მიწევნულებამ მო-ქმედებისა; რომლისა-თვსცა ზირველად შემასრულებელად უწოდეს გუარ-სა, ხოლო მეორედ — მოქმედებისა; ვითარ სახედ თუადი წინამდებარ-

6 სამოსიკოთასა A. | 8 მარჯუედ A. | 10 შეემთხუეს A. | \* არ-შინაზე ტექსტისავე წმინდა ხელით: „შეისწავვე, ვითარ არისტოტელი შემასრულებელად უწოდეს სულსა“. | 18, ქმნილი ქმნილი A. | 19-20 ვ'დ რ'ი მე (==ვითარმედ რომელი-მე) A. | 24 მღუძარებამ A; მღუძარებამ A. | 25 ძალდ A.

რის-გან არს ნივთისა და გუარისა მისდა ზედშემოსრულისა; და არს უკუწქ ესე წინამდებარე ნივთი მის-შორისი, ხოლო შემწუნარებელად ხილვისა თვთ თუალი | ითქუმის ნივთად, და იწოდების უკუწქ ესე სუნსა- A67  
 5 ობით თუალადვე; არამედ გუარი ვინაშე და „შემასრულებელი“ თვთ იგი პირველი მხედვარეობაჲ არს თუალისაჲ და შემძლებელი ხედვას მისდა მიცემად; ხოლო მეორე შემასრულებელი თუალისაჲ არს მოქმედებაჲ, რომლითა მხედვარეობს. იძიებოდედ, თუ ვითარ წადა შობილსა ლეკუსა არცა ერთი აქუს „შემასრულებელთაჲ“, არამედ ძალი ოდენ აქუს შემწუნარებად „შემასრულებელთა“, — ესრესხედვე ჯერ-  
 10 არს გულის-სმის-ყოფაჲ და სულისცა; რამეთუ ვითარ იგი, იშობოს რაჲ მხედვარეობაჲ, სრულ ჰყოფს თუალსა, ეგრეთცა, იშობოს რაჲ შორის სხეულთაჲსა, სული სრულ ჰყოფს ცხორებასა, რომელ არცა თუ თვნიერ სხეულთაჲსა იუოს ოდესვე სული, და არცა სხეული --სულისა-თვნიერ. რამეთუ სხეულ ვიდრე-მე არა არს სული,  
 15 ხოლო სხეულისად არს და, ამის-თვსცა, შორის სხეულთაჲსა მეოფე არს და სხეულთა ესე ვითარ|თა; ხოლო მეტრ თავსა-შორის თვსსა A68  
 არა არს.

არამედ, [პირველად,] ვნებადსა ნაწილსა სულისსა უწოდეს\* სულად და განაყენებს მის-გან სიტყვარებითსა; ხოლო ჯერაჲფ ერთ-  
 20 ბაზად უფიქრობსა სულისსა მიღებად და არა ნაწილთა-გან, და ამითცა უძღურებითთა, განჩინაჲ უფიქრობსა-ზედა სულისსა. შერეულა იტყვს, ვითარმედ სხეულსა ძლად ცხორებაჲ აქუსო, და პირველ სულისსაცა შექმნისა, თვს-შორის; რამეთუ ჯერარს სხეულისა, ძლად ცხორების მოქმედებისაჲ, პირველ თვთ მოქმედებით უფიქრობს სხეუ-  
 25 ლისა მის; არამედ არა შემძლებელ არს მოქმედებით მეოფად სხეული პირველ გუარისა შესაწევრებისა; რამეთუ ნივთი არს ურამებლობაჲ და არა სხეული; რამეთუ შეუძლებელ არს, რომელი პირველ თვთ მოქმედებაჲ არა იუოს ქონებად ძლისა და მის-შიერ და მის-

7 „იძიებოდედ“; ამ სიტყვას ხელნაწერი დიდი ასოთი იწყებს. | 10 გულის-სმის-ყოფაჲ A. | 13 თვნიერ A. | 14, სულისა-შიერ A; ვა-სწორებთ აზრისა და რუსული (=ბერძნული) ტექსტის მიხედვით. | 18 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | \* იგულისხმება არისტოტელი. | 19 გა-ნაყენ A. | 23 ძალდ A.

განვე რაღასცა ყოფიად. ხოლო თუ რად-მე სხეული ძალ ოდენ არს, ვითარღა ძლითი სხეული ძლადვე ცხორებას თავსა-შორის თვსსა ქონებად შემძლეებელ არს? და კუდად სხუაჲ უკუწ, ხოლო სხუათა-  
 5 ზედა, რომელთა ვითა-მე ძალი ოდენ ჭქონდის და არა იკმარებდენ მათ, ვითარ რაჲ ოდეს მხედველობაჲ ჭქონდის არაკმარებად მისდა;— არამედ სულის-ზედა შეუძლებელა ესე თქუმად. რამეთუ არცადა თუ მძინარე სულეობისა მთქმელებისა არს უნაწილო, რამეთუ იზარდების და აღორძინდების და იოცნებს და აღმომიქვანვარობს, რომელი უფროდს ხოლო ცხორებისა არს სსწაული. არამედ ამათ-გან სა-  
 10 ნინო არს, რომელ ძლად ცხორებაჲ შეუძლებელა ყოფად ვინდავე. ვინაჲვე ნამდჯლ და მთქმელებაჲცა ჰირველ ყოვლისა გუარმყოფელა სულისა, და სხუაჲ არა რაჲ არს, არამედ ცხორებაჲ, რამეთუ სულითა თანანერგ არს ცხორებაჲ, ხოლო სხეულთა თანქონებით ოდენ აქუს. აწ უკუწ, ოდეს იტყოდეს, ვითარმედ მრთელობაჲ შესაბამ  
 15 არს ცხორებისა, არა თუ სულისა ცხორებისა-თჳს იტყუს. არამედ სხეულთა-თჳს,—და ესრეთ დანა|ბრძენობს სიტყუასა. ვითარმედ სხე-  
 20 ულებრივი არსება მებრ ნაწილებით წინააღმდეგობთა არს შემწყნარებელ, ხოლო მებრ გუარითა არასადა; არამედ, თუ რად-მე მებრ გუარითა განყოფილებაჲ შეიცვალოს, და ცხოველიცა ვიდრე-მე შეიცვალ[ო]ს; ვინაჲვე არა თუ მებრ გუარითა არსება წინააღმდეგობთა არს შემწყნარებელ, არამედ წინამდებარითა, რომელ ესე არს სხეულებითა. აწ უკუწ არა შემძლებელა არა რომელითა სახითა სული სხეულთა შემასრულებელ\* ყოფად, არამედ არსება თვთსრულ და უსხეულთა: რამეთუ მებრ კერძო ნაწილებით შეწყნარებს წინააღმდეგობთა  
 25 —სიბორტესა და სათნობასა, რომელსა ვერ შეუძლებდა გუარი შემწყნარებად. მერმე იტყუს, ვითარმედ „შემასრულებელ“ არს სული და მიუდრეკელ მებრ თჳს-გნითა, ხოლო მიდრეკების მებრ შემთხუწ-ვითა. ვითარმედ ესე უკუწ არა მოუვალ არს, თუ თჳთ იყოს მიუ-

2<sub>1-2</sub> ვითარცა რაჲ ძლად A. | 8 აღმომიქვანვარობს A. | 10, ყოფად A. | 11 ნამდჯულ A. | 17, მრ A. | \* A-ხელნაწერი ამ სიტყვას ზემოდან აწერს ბერძნულს ექვივალენტს: „ენტელექიად“. | 23 თუთსრულ A. | 24, მრ A. | 28 თუით A.



დრეკელ და მიმდრეკის ჩუენ, ვითარ რამ სიკეთე[ა] მიუდრეკელ არს A71  
და მიმდრეკს ჩუენ. არამედ, დაღათუ სიკეთე[ა] მიუდრეკელ არს და  
მისდრეკს სხუას, არამედ, რომელთა ბუნებით ჰქონდეს მიდრეკამ,  
მისდრეკს და არათუ მიუდრეკე[ა]ლსა. და აწ ვინამდე თუმცა სხუელსა  
5 მებრ თათ მიდრეკამცა ჰქონდა, რამცა იყო უჯერო მიდრეკად მის-  
და მიუდრეკელისა-გან; ხოლო აწ ვინამდე შეუძლებელ, რათამცა მიუ-  
დრეკელი მიუდრეკელისა-გან მიდრეკა: სადა[ა]თ უკუ იყოს სხუელი-  
სად მიდრეკამ თანიერ სულისა? რამეთუ არათუ თათმიმდრეკ არს  
სხუელი. შირველისა უკუ ჰმნადობისა მიდრეკისა[ა]ლს მკულებელმან\*  
10 ჩუენებად, არა შირველი, არამედ მეორე აჩუენსა. რამეთუ, თუმცა  
რად-მე არამიმდრეკსა მისდრეკდა, შირველსა იტყოდან მიდრეკასა; ხო-  
ლო, თუ რად-მე მიმდრეკა, თუ თვს-გნით, და სხვასცა-მიერ მიმ-  
დრეკად არს, მეორისა მიდრეკისა ჰმნილებსა განჰმარტებს, — სადაათ  
უკუ შირველი ჰმნილებამ სხუელსა-შორის? | ხოლო თქუამდ ესრეთ, A72

15 თუ თათ თვს-გნით მიდრეკად ასოთა ამის-თვს, რამეთუ რომელნი-მე  
სუბუქ არიან, ხოლო რომელნი-მე მძიმე, — ტყუილ იყოს, რამეთუ,  
თუ რად-მე სისუბუქე გინათუ სიმძიმე მიდრეკა არს, არადეს დად-  
გეს მძიმე და სუბუქი, — ხოლო აწ დადგებიან, მიემთხუნენ რამ  
თვსსა ადგილსა. არა ვინამდე სიმძიმე და სისუბუქე მიზნებ შირვე-  
20 ლისა მიდრეკისა არიან, არამედ — რომელთანი ასოთანი. ხოლო თუ  
რად-მე და ესეცა შეენდოს, ვითარ მთქმელობამ და მთხუელობამ  
და განმსჯელობამ შესაძლებელ არს სისუბუქისა და სიმძიმისა საქმე-  
ყოფად? ხოლო, თუ რად-მე არა ამადად, არცათუ ასოთად; და, ვი-  
ნამოგან არა ასოთად, არცა თუ სხუელოდ. მერმეცა და თუ მე-  
25 მთხუევიით სული მიდრეკების, ხოლო სხუელი თვს-გნით, მაშინცა და,  
ოდეს არა იყოს მის-შორის სული, თვს-გნით სხუელი მიდრეკს; ხო-  
ლო თუ ესე ესრეთ, და იყოსცა ვიდრე-მე თანიერ | სულისა ცხელ- A73  
ველი; უჯერო უკუ ესე, და უჯერო ვიდრე-მე დასნამით-განვე.  
არამედ არცადა თქუამდ ესრეთ, ვითარმედ ყოველი ბუნებამ მიდრეკა-  
30 დი იძულებით მიდრეკების და ყოველი იძულებით მიდრეკად ბუნე-  
ბითცა მიდრეკების, და ესე ესრეთ ჰემარტ იყოს; რამეთუ სოფელი,

2 მიუდრეკელი A. | \* ე. ი. არისტოტელმან. | 12 სხუესცა მიერ A. |  
19 თუსსა A.



ბუნებით მიდრეკადი, იძულებით აწადეს მიდრეკების. არამედ არცა  
 რამე, რომელი ბუნებით მიდრეკების, და იგივე მეტრ ბუნებით და-  
 სწუნარდების; სოლო სოფელი, და მსე და მთავარე, ბუნებით მი-  
 დრეკადნი; ბუნებით წუნარებად ვერ შემძლებელ არიან. ამითვე სხი-  
 5 თა სულიცა, ბუნებით მიდრეკადი, სამარადისოდ მიდრეკადი არს, ბუ-  
 ნებით სიწუნარედ ვეროდეს შეუძლებს, რამეთუ წუნარებად ხრწნილე-  
 ბად ვინამ-მე არს სულისა და ყოვლისა სამარადისოდ მიდრეკადი-  
 სად. და ამითვე-თანა ზირველითგანვე საძიებელი ჰქვიეს დაუკსნელად  
 —თუ სადაღთ სხეული შეიკონებვის და ერთ იქმნების, ბუნებით  
 10 განბნევისა მქონებელი. ჯმა | არს ამის-თვს მრავალთა ზირთა-გან აღ- A74  
 მონენად, ვითარმედ სული არცა შემასრულებელ არს, არცა მიუდრე-  
 კელი და არცა სხეულთა ამთ-შორის ქმნილი.

არამედ ვითადრამ შემთხუჭვითად იტუნეულობს, სამარადისოდ  
 დმრთისცა და ყოველთა რიცხუთა მსგავსებისა-თვს, და განსასწდვრებს  
 15 სულსაცა თუთ თვსად მიმდრეკად; რომელსა და ქსენოკრატიცა შეუ-  
 დგა. არა თუ რიცხუ არს სული, არამედ ამისთვს, რომელ შორის  
 განრიცხუვადთაჲს არს და შორის განმრავლებულთაჲს და რამეთუ  
 სული არს განმ[ს]ჯელი საქმეთა და ხატთა და სხეთაჲ\* თუთუელსა-  
 ზელა მიმავლენელი, რამეთუ ესე არს გუარისა გუართა-გან გან-  
 20 შეყოფელი და განყოფისა მათისა გამომანინებელი, ვითარ სხუჭბრიო-  
 ბისა გუართაჲს სიმრავლედ რიცხუთაჲს მქმნელი მათდა, რამეთუ  
 სარიცხუო არიან საქმენი. ვინამევე არა ერცახე შეცვალებულ არს  
 [იგი]\*\* მეტრ რიცხუთა ზირებისა-გან.

\*\*\*

მ, შეიქონების A. | 13 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | \* ამ სი-  
 ტყვის ნაცვლათ A-ში პირველათ დაუწერიათ: „საქმეთაჲ“, შემდეგ ზემო-  
 დან წაუწერიათ სხვა მელნით „სხეთაჲ“. | 22, არიან A. | \*\* ე. ი. სული.

\*\*\* პითალორის შეხედულების გარჩევაზე სწყვეტს ნემესიოსი ძველი  
 დროის ფილოსოფოსთა აზრების მიმოხილვას სულის შესახებ და შემდეგ  
 იწყებს იმ მოძღვრებათა კრიტიკას, რომელნიც საქრისტიანო ფილოსო-  
 ფიის ნიადაგზე აღმოცენებულან. აქ იგი პირველათ განიხილავს და უარ-  
 ჰყოფს ენრომიოსისა და აპოლინარის შეხედულებას აღნიშნულ საგანზე.—  
 სამწუხაროდ, ჩვენს ხელნაწერებში არც პითალორის შეხედულების გარ-

არამედ ოდეს იგი სიხეულთა ედარებოდის.... არცა უზადოდ ამისდა A75  
მქონებელს..... მოკუდავად რამ იგი ითქმოდის.....\* ვითარცა თქვა

ჩვეის დასასრული მოიპოება და არც ევნომიოსის მოძღვრების კრიტიკის დასაწყისი, ე. ი. ქართულ ტექსტს აკლია მთელი ის ადგილი, რომელსაც რუსულ თარგმანში უჭირავს 38-ოდე ნაბეჭდი სტრიქონი 57—58 გვერდებზე, დაახლოებით A-ხელნაწერის ორ გვერდზე ცოტა მეტი. ამ დაკლებული ადგილიდან ხელნაწერში (A-ში) დარჩენილა ორიოდ სტრიქონი (A74—75), რომელსაც ჩვენ ტექსტში ვებეჭდავთ (გვ. 41, სტრქ. 1—2) და რომელიც, როგორც სჩანს, ევნომიოსის მოძღვრების კრიტიკას უფრო უნდა ეკუთვნოდეს, ვინემ პითაღორისას.

აქ მოგვაქვს მხოლოდ პითაღორის შეხედულების კრიტიკის დასასრული რუსული თარგმანის თანახმად, ხოლო ევნომიოსის მოძღვრების გარჩევას შემდეგს სხოლიოში მოვიტანთ

ქართული დედნის სიტყვებს: „ვინაჲვე არა ერცახე შეცვალებულ არს იგი (ე. ი. სული) მეტრ რიცხუთა ზიარებისა-გან“ (იხ. ზემოთ გვ. 40, სტრიქ. 22—23), ამ სიტყვებს რუსულში უღრის ფრაზა: „Отсюда она (ე. ი. სული) имѣтъ нѣкоторое соотношеніе съ числами“. ამ ფრაზას, ნაკვეთის დასასრულამდე, მოსდევს კიდევ 18-იოდე ნაბეჭდი სტრიქონი, რომლის შინაარსიც ასეთია:

„გარნა პითაღორიც სულსა სთვლიდა თვითმოდრავ დასაბამად. მაგრამ, რომ სული არ არის რიცხვი, ეს სჩანს შემდეგიდან: რიცხვი რაოდენობაა, სული კი არ არის რაოდენობა, არამედ არსება; მაშასადამე, სული არაა რიცხვი. შემდეგ, სული ერთი და ვანუყოფელია, რიცხვი კი არაა,—მაშასადამე, სული რიცხვი არაა; ამასთანავე რიცხვი შეიძლება იყოს ან თანასწორი, ან უთანასწორო,—სული კი არ შეიძლება იყოს არც თანასწორი და არც უთანასწორო,—მაშასადამე, სული არ არის რიცხვი. კვალად: რიცხვი იზრდება მიმატებით, სული კი ამ გზით არ მატულობს; სული თვითმოდრავი დასაბამია, რიცხვი კი, განსაზღვრული, უძრავია; რიცხვი ერთი და იგივეა ბუნებით, არ იცვლება და არც შეუძლია შეიცვალოს ის თვისებანი, რომელნიც რიცხვს აქვს,—სული კი უცვლელია არსებით, მაგრამ იცვლის თვისებებს, როცა უმეცრების ნაცვლათ იძენს ცოდნას, ხოლო ბიწიერების ნაცვლათ—სათნობას; მაშასადამე, სული არაა რიცხვი. ესრეთია ძველთა სიტყუაჲ სულისა-თჳს“ (იხ. რუს. თარგმანი გვ. 57—58).

\* როგორც წინა სხოლიოში შევნიშნეთ, აქ ქართულ ტექსტს აკლია ევნომიოსის შეხედულების გარჩევის დასაწყისი, ან უკეთ, თითქმის

არისტოტელეს სხეულთა ამათშორის ქმნად იგი და ვითარ სტოკელნი იტყოდეს, [ანუ თქუას იგი] არსებად უსხეულოდ [და] სუ ითქუმო-

ნახევარი. როგორც ეტყობა, ეს ადგილი გადმოთარგმნის შემდეგ დაკარგულა. და, რადგან ევენომიოსის სახელი სწორეთ აქ, დასაწყისში, ყოფილა მოხსენებული და დაკარგულა, შემდეგის დროის გადამწერს ველარ გაურჩევია, ვისი შეხედულების კრიტიკას წარმოადგენდა ამ ნაკვეთის დანარჩენი ნაწილი; ამიტომ ეს უკანასკნელი მიუღია ძველი დროის ფილოსოფოსთა მოძღვრების კრიტიკად და პირდაპირ პითაგორის აზრის კრიტიკაზე მიუბამს; სწორეთ ამიტომვე, სადაც ამ ნაკვეთში ევენომიოსზე მხოლოდობითი რიცხვით ყოფილა ლაპარაკი (მესამე პირის ნაცვალსახელით), გადამწერს მრავლობითი რიცხვი უხმარნია, ან უპიროვნო წინადადებებით გამოუხატავს სათანადო ადგრლები; ევენომიოსის სახელი კი A-ში (ისე როგორც A<sup>1</sup> და A<sup>2</sup>-ში) არც ერთჯერ არ არის ნახსენები: რუსულ ტექსტში კი ამ ერთსა და იმავე ნაკვეთში სახელი „ევენომი“ ოთხჯერ გვხვდება. მოგვაქვს ამ ნაკვეთის რუსული თარგმანიდან ის ადგილი, რომელიც ქართულ ტექსტს აკლია. აი ამ ადგილის შინაარსი (იხ. რუს. თარგმ. გვ. 58):

„ევენომიოსი, პლატონისა და არისტოტელის თანახმად, სულს განსაზღვრებდა — როგორც უსხეულო არსებას, რომელიც სხეულში და სხეულთან ერთად იქმნების: სახელწოდება სულისა უსხეულო არსებად მას ნაცხები ჰქონდა პლატონისაგან, ხოლო აზრი შესახებ მისის ქმნისა სხეულში — არისტოტელისაგან; მაგრამ, მიუხედავად თვისის შორსმჭვრეტელობისა, ის კი ველარ შეუმჩნევია, რომ თავის განსაზღვრებაში სცილობს ისეთს რისამე შეერთებას, რაშიაც არავითარი მსგავსება არაა: ეს ხომ ცხადია, რომ ყველაფერი, რასაც დროითი და ხორციელი ჩამომავლობა აქვს, განხორწნადია და მოკვდავი. ამას მოსეს მოთხრობაც ეთანხმება: როცა აღწერს ყოველისავე ხილულის გაჩენას, მოსქ არ ამბობს გადაპრით, რომ ხილულში უკვე იმყოფებოდა უხილავი ბუნებაც; — თუმცა ზოგიერთნი ასეც ჰფიქრობენ, მაგრამ ამათ ყველანი არ ეთანხმებიან. მართალია, სული მას შემდეგ შთაიბერა სხეულში, როცა სხეული უკვე მომზადებული იყო; მაგრამ ვინც აქედან იმ დასკვნას გამოიტანს, ვითომც სული სხეულის შემდეგ იყოს გაჩენილი, დიდად შესცოდავს ქეშმარიტების წინააღმდეგ. არც მოსე ამბობს: სული მაშინ შეიქმნა, როდესაც სხეულში შთაიგზავნაო; და არც სალი გონებით გამოდის ასე. ამგვარათ, ევენომიოსმა ორში ერთი უნდა აიჩიოს: ან უნდა აღიაროს სული მოკვდავად, ვითარცა თქუა არისტოტელემ ან“ და სხვა ისე, როგორც ზემოთ; ამავე გვერდზე, ქართულ ტექსტშია დაბეჭდილი (სტრ. 1-2).

დის შორის სხეულთაღს აგებულად, რათა არა მოკუდავის სულის  
 ის იტყუნი წარმომადგინეს ჩუენ და უოფლით-ურთ უტყუასანი. და  
 კუაღად უკუელ, სიტყუას-ებრ მისისა,\* არა სავსეუოფად სოფელი, არა-  
 მად ნახეგარსრუფად; მერმეცა, ესრეთ იტყუადის აწდა სამარადისოდ  
 5 შემატებისა მოქმედ, ვითარ: ხუთ ოდენ ბეგრი, სიმცირესა-შორის,  
 გონიერთა არსებათა მარად-დღე დაერთვისო მას; და უძრესი ესე,  
 რომელი, რამ განსრუფადეს, მაშინ დაიქნას, სიტყუას-ებრ მისისა,\*\*  
 და უკუანაზგნელთა კაცთა ადღკომისა-მიმართ სულიერებრთა რაცხუთა  
 განსრუფებად. რამდამცა იუო უტყუეს მასინდა თქუმად განხრწნად  
 10 სოფლისა, რაჟამს განსრუფადეს! ებადვის უკუელ ჩიჯლთა ურმათა-  
 სა | სახე ესე, ქუასა-შინა ურმებრიობისას მსწრაფელ განსრუფებასაგუ- A76  
 თანა შემრეგელთა მათ-შიერ ქმნულთაღს. [მერმეცა] ესრეთ თქუმად,  
 ვითარმედ მიზეზითა განგებისაღთა აწ სული უოფად [არსო] და არა-  
 თუ დაბადებ[ისაღთა], არ[ც]ათუ ახლისა არსებისა და არცადა სხვისა,  
 15 თანიერ მისისა, რომელი მუოფა, შემოუკანებად [სხეულსა-შორის],  
 არამედ, რომელი იგი მუოფა, მებრ განგებისა-ებრ] დაიგინებოდელ-  
 სო, — უმეცარ იქმნეს [თქუმად ესე] განუოფილეებასა [განგებისასა და]  
 ამათ დაბადებულთასა. რამეთუ საქმე განგებისაღ არს ესე, რათა ურთი-  
 ერთას თესლფონებისა-გან დაიცვიდეს განხრწნადთა ცხროველთა არსებასა:  
 20 ვიტყუ მათ, რომელნი არა სიმზადისა-გან იქმნებოდენ, ვინაღთგან ამათთა  
 მონაცვალეთა სიმზადე კუაღად დაიცავს; არამედ და[შ]ბადებულ[ობ]ისა  
 ურჩეულესი საქმე ესე არს, რომელი არაარაღს-გან მოქმედებდეს. ხოლო  
 აწ, თუ რად-მე ურთი-ერთობითისა მთესჯარეობისა-გან სულნი იქმნებო-  
 დენ, — მიზეზითა განგებისაღთა იქმნებიან და ხრწნადნი არიან, ვი- A77  
 25 თარ იგი სხუანი, რომელნი მონაცვალეობითა ცომისაღთა იქმნებო-

1, ითქუმიოდისო A; აგებული A. | 2 და მონებრივნი + წარმომი-  
 დგინნესო A. | \* ე. ი. ენომიოსისა; A-ში კი აქ სწერია „მათისა“. |  
 6, რამ-დღე A; უძურიესი A | \*\* ე. ი. ენომიოსისა; A-ში კი სწერია:  
 „მათისა“. | 11-12 განსრულებებისავე-თანა A. | 12-18 ეს სტრიქონები ხელ-  
 ნარში ძალიან არეულია; იქა ვკითხულობთ: „რამეთუ ესრეთ თქუმად,  
 ვითარმედ მიზეზითა განგებისაღთა აწ სულიერ ყოფად მისდა და არათუ  
 დაბადებულისა-თვს არათუ ახლისა არსებისა და არცადა სხუსა, თვნიერ  
 მისსა, რომელი მყოფა, შემოყვანებად, არამედ რომელი იგი მყოფა მებრ  
 განგებისა-თვს დაქნინებდეს, უმეცარ იქმნეს განყოფილებასა ამათ და-  
 ბადებულთასა“ A; ვასწორებთ რუსული თარგმანის მიხედვით. (გვ. 59,  
 სტრქ. 12—17 ზემოდან). | 21, დად'ბლისა A.



დინ; ხოლო, თუ რად-მე ანაარსისა-გან წარმოაჩინებოდინ, — დამბადებელისაგან იუოს მიზეზ[ი] ქმნისა მათისა და არა ვიდრე-მე იუოს ჭეშმარიტ მოსტს-მიერ თქმული, რომელ იტყვს, ვითარმედ: „დასცხრა ღმერთი უფელთა-გან საქმეთა მისთა“\*; უჯერო უკუწ ორნი-  
 5 ვე; არდა, ვინაჲვე, აწ სულნი იქმნებიან; რამეთუ ესე სიტყუაჲ ქრისტსნი, ვითარმედ: „მაჲა ჩემი იქმს“\*\*, არათუ ქმნისა-თვს და ადგებისა, არამედ განგებისა-თვს თქმულა ესე.\*\*\*

ხოლო აზოლინარის უკუწ ეთნების სულთაჲ სულთა-მიერ შობაჲ, ვითარ რაჲ სხეულთა-გან სხეულნი, თანაგანზოგვად და წარმო-  
 10 ხინებად სულისა მონაცვლეობითა შირველისა კაცისაჲთა მის-მიერითად უფელთად, ვითარ სხეულებრივი მონაცვლეობაჲ, და არცა წინაჲთვე მოფიად დებად სულთა და არცა აწ ახლად და[ბა]დებად; ხოლო რომელნი ამას იტყვან, თანაშემწედ ჭყოფენ | ღმერთსა შეძგთაჲსა, რამეთუ  
 15 ამათ-გან ჩხვლნი იშობებიან; და ტყუილ უკუწ იუოს, ვითარმედ „დასცხრა ღმერთი უფელთა-გან საქმეთა მისთა, რომელთა იწყო ქმნად“, ვინაჲთგან და ჯერ[ეტ] აწ სულთა მოქმედებს.\*\*\*\* არამედ უფელნი მონაცვლეობითნი ურთი-ერთას შობის მქმნებლად ქმნილნი იჩინ[ნ]ენ მოკუდავად, ამისთვს უკუწ შობს და იშობების, რათა მოკუ-  
 20 დავთა ეკოს ტომობაჲ, საჭირთ არს და მის-თვსცა ანუ მოკუდავად განჩინაჲ სულისაჲ ურთი-ერთას მშობელობისა-თვს, ანუთუ არცა მონაცვლეობისა-თვს ურთი-ერთას შობად სულთა. არამედ სიძვით შობილთა-თვს განგებისა-მიერსა მიზეზსა თანაწარგადეთ, რამეთუ უცნაურა ჩუენ-გან; ხოლო, თუ რადეცნაჲა ჯერარს ამისთვს მოჭა-  
 25 ცხროებისა ამის და ანუ თავისა თვისისა საკმარ იქმნების, და ამისთვს შეუნდობს [კორცთა] სულიერ ფიად. კმა არს უკუწ საუწყებელისა მის-გან, რომელი იქმნა დავითის-მიერ და ურიაჲს ცოლის[ა]. შობად სოლომონისა.

1-2 დაბადებულისაგან A. | 3 მოსეს მიერ A. | \* შექმნათა II, 2-3. | 5-6 ქრისტესი A. | \*\* იოანესი V, 17. | \*\*\* აქ რუსული ტექსტი უმატებს: „съ чьимъ согласенъ и самъ Евномій“ (გვ. 59) | 8 ახალ ნაკვეთს აქ ჩვენ ვიწყებთ. | \*\*\*\* იგულისხმება: ღმერთი. | 19, მათ-თვს-ცა A. | 20, სულისა-თვს A. | 22 გაგონებისა-მიერსა A. | 24, 24-ა: უწყის ვინაჲ ვეე შობადმან A.



და კუადად განვიცადათ შემდგომთა-შორის თნებაჲ მანიქე-  
 ველთაჲ\*, რომელი აქუს სულისა-თჳს. რამეთუ იტყჳან მას უკუადად  
 და უხრწნელ და ვითარმედ ერთი უკუწ ანსო სული ყოველთაჲ გან-  
 წვალებული და განჭრილი თვთუელთა სხუელთად სულიერთა უკუწ  
 5 და უსულოთად; და რომელთა-მე უმეტეს თანაჲქუს იგი, ხოლო რა-  
 მელთა-მე უმცრომს: უმეტეს უკუწ სულიერთა, ხოლო უმცრომს—  
 უსულოთა, და უმეტეს ყოველთასა—ცისთა; სდადთ საყოველთაომსა  
 სულისა ნაწილნი თვთუელად არიან სულთად. და რომელი-მე უნაწი-  
 ლოდ განიწილვისო, იტყოდეს, ვითარ რაჲ კმაჲ შორის მსმენელ-  
 10 თაჲსა, და ოდეს რაჲ ესრეთ იტყოდინ, უდარეს ვინაჲვე იყოს ბო-  
 რტო. ხოლო აწ თჳთ მას არსებასა სულისასა განნაწილებად იტ-  
 ყჳან, — და ყოველთა უძრეს ესე, რომელ საკუთრებით შორის ოთხ-  
 თა ასოთაჲსა ეგულებინ მისი ყოფაჲ და თანაცნყოფად მათდა სხუ-  
 ელთა | შექმნასა-შინა და კუადად მათდავე შეერთებად, ოდეს რაჲ A80  
 15 განიხრწნენ სხუელნი, ვითარ რაჲ წყალი, განნაწილებული და კუადად  
 შეერთებული და შერეული; და წმიდათა უკუწ სულთა-შორის ნათ-  
 ლისა დატევნად მით, რომელ ნათელ არიან, ხოლო შებღაღულთა  
 ნივთისა-გან—დატევნა ოთხთა ამათ ასოთა-შორის და კუადად ასო-  
 თა-გან ნერგთად და ცხველთა. და ესრეთ არსებასა მისსა დასჭრო-  
 20 დეს და სხუელთანად აღმოაჩენდეს და ვნებათა წინადაუდებდეს, რომ-  
 ელსა უკუადად იტყოდეს. შთაიჭრებიან უკუწ წინააღმდეგომთა თჳს-  
 თავე სიტყუათა-გან, რამეთუ იტყჳან აღყვანებად და შეერთებად სულ-  
 თა შებღაღულთა ოთხთა ასოთად და თანშერევად ურთი-ერთას; და  
 კუადად იტყჳან ცვალებასა-შორის სხუელთასა. დასჯად მათდა სიმრავ-  
 25 ლისა-ებრ ცთომათა მათ-მიერთაჲსა და კუადად განყოფად მათდა მებრ  
 გუამოვნებით. და ვითარ ჩრდილთა ოდეს, რაჲ ოდეს იყოს ნათელი,  
 განყოფად ურთი-ერთას, ხოლო, ოდეს რაჲ დრუბელი იყოს, შეერთე- A81  
 ბად, რომელ შეუძლებელ არს ესე გონიერსა არსებასა-ზედა ქმნად,  
 რამეთუ ჩრდილნი გრძნობადთანი არიან, დაღათუ [ი]ოჭუნეულნი იგინი  
 30 ვინ-მე განყოფად და კუადად შეერთებად.

1 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | \* არშიაზე შენიშვნა: „ვითარ მანიქეველნი ითნებენ სულისა-თჳს“. | 4 თუთუელთა A. | 12 უძრეს A.

ხოლო ჰლატონ ერთყოფას სულისსა და მრავალყოფასა, ად-  
მამჩენელი, ერთად უკუტ იტყვს უფველთა სულსა\*; და არიან უკუტ  
სხუნიცა რამ ნაწილობითნი, ვითარ საკუთრებით უკუტ უფველი სუ-  
ლიერ იქმნების უფველთა სულისა-გან, ხოლო განთავსებით კუაჲად  
5 მებრ ნაწილობებით სათავულომას სულისა-გან. რამეთუ იტყვს უფ-  
ველთა სულსა განიქნად და განმარტებად კინტრომსა-გან ქუტუნისა  
ვიდრე კადეთამდის ცისათა, — ხოლო არა ადგილობრებით იტყვს მას  
განიქნად, არამედ გონიერებრივ; და ამის უკუტ სულისა-მიერ გარე-  
შეცვად სიერომს-სახედ უფველთა და შემტკიცებად და ზერობად სხე-  
10 ულთა სახეობისა სოფლისსა; რამეთუ მამჩენყოფა სხეულთა მჭირ-  
ვისა და მზერობელისა წინამთვე თქუმელთა-შორის იხუტნა; ხო- Aბ2  
ლო მამქედად და გუაროან-მყოფელად უფველთა ესე სული; ცხორე-  
ბად უკუტ თათყოფლთა ცხრველთა თვისითა ცხრებითა და განხრწნად  
თათყოფლთა თვისითა ხრწნილებითა, რამეთუ, ვიდრემდის იზერობებო-  
